პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

სამშაბათი
24
აგვისტო
1937 წ.
№ 193 (4994)

მხურვალე სალამი სტალინურ შევარდნებს, სოციალიზმის ქვეყნის მამაც მფრინავებს, ძირდაუშვებლად გადაფრენის მსოფლიო რეკორდსმენებს ამხანაგებს გრომოვს, იუმაშევს, დანილინს

საბრძოლო პროგრამა

შარშან, 25 აგვისტოს, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეხუთე პლენუმზე ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თავის მოხსენებაში „ლონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის“ შეაჯამა საქართველოს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა 3-4 წლის მუშაობა კოლექტივიზაციის ფრონტზე და დასახა საბრძოლო ამოცანები სოფლის მეურნეობისა და კოლექტივიზაციის შემდგომი განმტკიცების დარგში.

ძველი ხელმძღვანელობის, ამჟამად ნიღაბჩამოგლეჯილთა, ხალხის უსაზიზღრეს და უბოროტეს მტერთა — ჯაშუშ ტროცკისტების ორახელაშვილის, კახიანის, ქართველიშვილის, ღოღობერიძის, მამულაიას, სუხიშვილის და სხვ. მიერ დაშვებულმა უხეშმა პოლიტიკურმა შეცდომებმა, მათმა მავნებლურმა მოქმედებამ „საქართველოს გულეხობის მნიშვნელოვან ნაწილს შეურყიეს რწმენა კოლმეურნეობებისადმი“.

დიდი მუშაობა იყო საჭირო იმისათვის, რომ გულეხობა დარწმუნებულიყო საკოლმეურნეო წარმოების უპირატესობაში. ახალმა ხელმძღვანელობამ, დიდი სტალინის თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მეთაურობით, საკოლეურნეო მშენებლობის საკითხი სტალინურად გადაწყვიტა. ლენინ-სტალინის თეორიის მომარჯვებით, პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებით 3-4 წლის მანძილზე შესაძლებელი გახდა გულეხობის დარწმუნება საკოლმეურნეო წარმოების უპირატესობაში. საკოლმეურნეო წარმოებამ გაიმარჯვა საბოლოოდ და სამუდამოდ. კოლმეურნეობები განმტკიცდნენ მეურნეობრივად, ორგანიზაციულად და პოლიტიკურად. კოლმეურნეები მასობრივად ხდებიან შეძლებულნი და საამურ ცხოვრებას ეწაფებიან.

გაიზარდა მარცვლეულის ნათესთა ფართობი. გაიზარდა მოსავლიანობა. ფართოდ განვითარდა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები, ჩაი, ნარინჯოვანები, ტუნგო და სხვ. კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დიდი შემოსავლიანობის წყაროდ გადაიქცა.

მეორე ხუთწლედის მნიშვნელოვანი პრობლემა — სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების საქმეც გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ.

გაიზარდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სატრაქტორო პარკის მოცულობა. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ახალი ფართობების ათვისების საქმეში. ამ მხრივ განუზომელია კოლხიდის დაბლობის ამოშრობის პრობლემის გადაწყვეტა.

თავისი განსაკუთრებული წარმატებებით საქართველო ორდენოსან რესპუბლიკათა რიგებში ჩადგა.

წარმატებანი დიდია, განუზომელია, მაგრამ ბოლშევიკები ჩვეულნი არ არიან მოპოვებული წარმატებებით დაკმაყოფილდნენ. ამხ. ლ. ბერიას დასახელებული მოხსენება წარმოადგენს არსებულ ნაკლოვანებათა მხილებას და იძლევა ამომწურაყ განმარტებებს, სახავს საბრძოლო ლონისძიებებს მათ გამოსასწორებლად. პლენუმის დადგენილებით, მოხსენება მიჩნეულია პლენუმის რეზოლუციად. იგი წარმოადგენს საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღორძინების, კოლმეურნეობათა, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის სტალინურად, ახლებურად გარდაქმნის, გაშლის საბრძოლო პროგრამას.

„საქართველოს კოლმეურნეობათა ზრდა და განმტკიცება უწინარეს ყოვლისა საოსფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების სწორი განხორციელების შედეგია“. მაგრამ ამასთანავე ამხ. ლ. ბერიამ აღნიშნა არტელის სტალინური წესდების დამახინჯებათა მთელი რიგი ფაქტები. როგორიცაა: მიწათმოწყობის გაჭიანურება, საკოლმეურნეო დემოკრატიის უგულებელყოფა, დამახინჯებანი განსაზოგადოების დარგში, შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობა, სახინანსო მეურნეობის მოუწესრიგებლობა და მიწგანებინა და მტს-ების მიერ კოლმეურნეობათა სუსტი ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით დაგეგმვისა და შრომის ორგანიზაციის საქმეში, ტრაქტორების ხანმოშო მეურნეობებად გადაქცევისათვის. ამხ. ლ. ბერიას დავალების შესრულებას მავრად ჩოკიდეს ხელი. მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები ახლა უდრტაციოდ მუშაობაზე გადავიდნენ და სახელმწიფოს მოგებას აძლევენ. მიღწევა თვალსაჩინოა, მაგრამ ძირითებათა რეალიზაციის დარგში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა შემდგომი გახვითარების შესახებ მოცემული დავალებანი პარტიულმა, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოებმა ყოველდღიური ბრძოლის საგნად გაიხადეს. ამ კულტურათა გახვითარების დარგში უდავოდ მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს, მაგრამ მაინც ყველაფერი რიგზე როდია. იმ გარემოება, რომ ჩაის მწკვანე ფოთლის კრეფის გეგმების შესრულებაში ჩამორჩა უკლებლივ ყველა რაიონი, მოწმობს იმას, რომ ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შეუწავლილი და პრაქტიკულად ხორცშესხმული ამხ. ლ. ბერიას მითითებანი ჩაის თვითეული ბუჩქისადმი ინდივიდუალურად მიდგომისა, განუწყვეტელი კრეფისა, აგროწესების ზუსტად დაცვისა და პლანტაციების მოვლის შესახებ მათი მდგომარეობის მიხედვით.

ამოცანა ის არის, რომ ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის ბრძოლა წარიმართოს ამხ. ლ. ბერიას მითითებათა ურყევად გატარების ნიშნით.

„ჩვენ შეგვიძლიან და უნდა უზრუნველვყოთ საქართველო საკუთარი პურით“. ამხ. ლ. ბერიას ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა; შარშანდელთან შედარებით გაიზარდა ნათესი ფართობი, გაიზარდა მარცვლეულის მოსავლიანობა, უკეთესად დგას აგროწესების გამოყენების საქმეც, მაგრამ ამ საბრძოლო დავალების შესრულებისათვის ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს თესლის ხარისხი, თესლთაბრუნვის, ნადაგის დამუშავების, ნათესთა მოვლისა და მოსავლის აღების საქმე.

სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებაზე ამხ. ლ. ბერია ამბობდა: „საქართველოს მეცხოველეობა ამჟამად ალმავლობას განიცდის“. ალმავლობა განიცადა მეცხოველეობის ყველა დარგმა. განმტკიცდა და გაძლიერდა ნამატის შენარჩუნება - აღზრდის ტემპი და დონე. გამრავლდნენ და განმტკიცდნენ საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები, მაგრამ მეცხოველეობას მაინც ახლდა არსებითი ნაკლოვანებანი, კერძოდ მავნებლურად იყო დაყენებული მეტიზაციის (განსაკუთრებით თუშური ცხვრის) და საკვებით უზრუნველყოფის საქმე. ერთი წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა მეცხოველეობის ალმავლობის საქმეში. გაიზარდა საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების რაოდენობა და მათში პირუტყვის სულადობა, მეტიზაციას და პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფას მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი, მაგრამ აქაც ყველაფერი რიგზე როდია.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის წარმატებებთან ერთად ამხ. ლ. ბერია მიუთითებდა მტს-ების უყაირათო მუშაობის ფაქტებზე, მანქანა - ალაგების მოუვლელობაზე, შრომის დაბალ ნაყოფიერებაზე. ნაკლოვანებათა გამოსწორება დაიწყო, მაგრამ იგი ბოლომდე არ არის მიყვანილი. მტს-ების ნაწილი დანაგვიანებული აღმოჩნდა ხალხის მტრებით, რომლებიც განზრახ აფერხებდენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამხ. ლავრენტი ბერიას მითითებათა რეალიზაციას. საქართველოში არსებული მძლავრი სატრაქტორო პარკის უკეთესი გამოყენება, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო. მტს-ების ხელმძღვანელობა და სხვა მუშაკები ვერ დაიკვეხნიან, რომ მათ შეასრულეს საბრძოლო დავალება.

მოხსენებაში სპეციალური თავები აქვს მიძღვნილი კადრების საკითხსა და, რაც მთავარია, შემტევ რევოლუციურ სიფხიზლეს.

„პროლეტარული დიქტატურის ფოლადის ხელი, — ამბობდა ამხ. ლ. ბერია,— დაუნდობლად მოსპობს ყველა იმას, ვინც შეეცდება ხელი შეახოს სოციალიზმის საქმეს, რომლის სულისჩამდგმელი და გამძარკვებათა ორგანიზატორი არის დიდი სტალინი“.

ერთი წლის მანძილზე გამომჟღავნებულ იქნა მიწათმოქმედების ორგანოებში მოკალათებულ ჯაშუშთა, ტროცკისტ-დივერსანტთა ბინძური ხროვა ობერჯაშუშ მათიაშვილის მეთაურობით. ამ ცოფიან ძაღლთა საბოლოო გამოვლინება და გასრესა აუცილებელი პირობაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურება, სამიწათმოქმედო ორგანოების ბოლშევიზმს დაუფლებული და თავისი საქმის მცოდნე ახალი კადრებით გაძლიერება იმის აუცილებელი პირობაა, რომ დიდი საბრძოლო პროგრამა, დასახული საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წ. აგვისტოს პლენუმზე, წარმატებით განხორციელდეს.

ორდენოსანი საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა განუხრელად უნდა განახორციელონ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამხანაგ ლავრენტი ბერიას საბრძოლო დავალებანი.

საბჭოთა კავშირის გმირები ამხანაგები მ. გრომოვი (შუაში), ა. იუმაშევი (მარცხნივ) და ს. დანილინი

ამხანაგების გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის შეხვედრა მოსკოვში

23 აგვისტოს დედაქალაქი ზეიმითა და სიხარულით შეხვდა საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ამაყ სტალინურ შევარდნებს ამხ. გრომოვს, იუმაშევსა და დანილინს, რომლებმაც მოახდინეს ლეგენდარული ძირდაუშვებლად გადაფრენა ჩრდილოეთის პოლუსით მოსკოვიდან ჩრდილო ამერიკაში, და რომლებმაც დაამყარეს პირდაპირი ხაზით საშორეზე ფრენის მსოფლიო რეკორდი.

ბელორუსიის სადგურის მოედანი გაჭედილია ხალხით. ზეალმართულან გმირი მფრინავების პორტრეტები და მოხდენილი ტრანსპორანტები, რომლებზედაც დაწერილია მისალმების სიტყვები. სადგურის შენობა მორთულია მწვანეულობისა და ყვავილების გირლანდებით.

სადგურის ბაქანზე ნეგორელოედან მომავალ ექსპრესის შესახვედრად თავი მოიყარეს გმირების ნათესავებმა და მეგობრებმა, პოლარელებმა, მფრინავებმა, ჟურნალისტებმა, კინოოპერატორებმა. თვითმფრინავ „ანტ-25“-ის ეკიპაჟის შესახვედრად მოვიდნენ ამხ. ხრუშჩოვი, დიმიტროვი, რუხიმოვიჩი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. ტროიანოვსკი, არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. ალქსნისი, ამხ. ტუპოლევი, სტეცკი, შვერნიკი, საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. შმიდტი, ბელიაკოვი, ბაბუშკინი, სპირინი, მ. მ. გრომოვის მასწავლებელი — „რუსეთის ავიაციის პაპა“ როსინსკი, კორპუსის სარდალი ამხ. ტკაჩოვი, ამხ. ვ. ი. ჩეკალოვი და სხვ.

ახლოვდება შეხვედრის წუთი. 16 საათსა და 15 წუთზე ექსპრესი გაჩერდება ბაქანთან. სიხარულით აღსავსე მისალმების შეძახილებით ხვდებიან ვაგონიდან გამომავალ ამხ. გრომოვს, იუმაშევსა და დანილინს. დამხვდურნი ესწრაფვიან გულში ჩაიკრან ჩვენი დიადი სამშობლოს სახელოვანი შვილები და მაგრად ჩამოართვან მათ ხელი. რამდენიმე წუთის შემდეგ ყვავილთა თაიგულებისგან ვაგონთან შეიქმნება ნამდვილი ორანჟერეა. ძლევამოსილად ჰგუგუნებს ავიამარში. ამხანაგები გრომოვი, იუმაშევი და დანილინი დამხვდურთა თანხლებით გაემართებიან სადგურის გასასვლელისკენ.

ხალხით გაჭედილი მოედანი დაძაბულად მოელის გმირების გამოჩენას. როდესაც ისინი ტრიბუნაზე გამოჩნდებიან, ათასობით ადამიანები დიდხანს მიესალმებიან მათ „ვაშას“ აღტაცებული ძახილით. გრიალებს ოვაცია. მთელი მოედანი ტაშს უკრავს. გაისმება მცირე ხნის მიტინგი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსგან მისალმებით გამოდის საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ო. ი. შმიდტი (საქედესი).

სახელი და დიდება გმირებს!

დღეს მოსკოვი ეგებება ამხ. გრომოვს, იუმაშევსა და დანილინს — დიდი ხალხის მამაც შვილებს — საბჭოთა დევგმირებს, რომელთა გმირობამაც განცვიფრებაში მოიყვანა მთელი ცივილიზებული მსოფლიო.

საბჭოთა პატრიოტისათვის, რომელიც ყველაფერზე მაღლა აყენებს მოვალეობას სამშობლოს წინაშე, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს დაუძლეველი დაბრკოლება. ჩვენ გვიჩვენეთ იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა სრულდებოდეს პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის საბრძოლო დავალებანი.

მაგრად გარომეცთ ჩვენს ძლიერ ხელს, რომელსაც მტკიცედ ეპყრა უმაგალითო ფრენის დროს წითელფრთიანი ლომაზი „ანტ-25“-ის ოწინარი. მხურვალე სალამი დიადი სამშობლოს ერთგულ შვილებს.

აკადემიკოსები: ვ. ლ. კომაროვი. ი. მ. გუბკინი. ე. ვ. ბრიცკე, ა. ა. გორბუნოვი, ა. ნ. ბახი.

თქვენ დაიმსახურეთ ხალხის სიყვარული

ამხანაგ გრომოვს, იუმაშევსა და დანილინს სიხარულითა და აღტაცებით ხვდებიან მოსკოვის მშრომელები. მამაცმა მფრინავებმა დაიმსახურეს ხალხის სიყვარული. ისინი ამ შეხვედრის ღირსი არიან.

მე დიდიხანია ვიცნობ ჩვენი სამშობლოს მამაც შვილებს, განსაკუთრებით—მიხეილ მიხეილის-ძე გრომოვს, რომელმაც არა მარტო ათობით და ასობით ახალგაზრდა ადამიანებს შეასწავლა ფრენოსნობის ხელოვნება, არამედ თვითონაც, 1925 წლიდან დაწყებული, ახდენს დიდ გადაფრენებს. და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მიხეილ მიხეილის-ძეს არ შეესრულებინოს განზრახული გადაწყვეტილება ან დავალება.

ერთხელ კიდევ მივესალმები ამხანაგებს, ვამაყობ ჩემი ქვეყნით, რომელმაც აღზარდა შესანიშნავი ადამიანები — გრომოვი, იუმაშევი, დანილინი. ასეთი ადამიანები ჩვენ ბევრი გვყავს, ათობით და ასობით. ხვალ კი უფრო მეტი — ათასობით გვეყოლება.

მ. ვ. ვოლოკიანოვი.
საბჭოთა კავშირის გმირი

ვხარობთ მთელს ჩვენს ქვეყანასთან ერთად

მივესალმებით გმირ მფრინავებს ამხანაგებს გრომოვს, იუმაშევს და დანილინს. მთელს ჩვენს ქვეყანასთან ერთად ვხარობთ მოსკოვში თქვენი დაბრუნების გამო.

გისურვებთ ახალ წარმატებებს ჩვენი მშვენიერი სამშობლოს სასახელოდ.

ი. პაპანინი, ე. კრენკელი, პ. შირშოვი, ე. ფედოროვი.
ჩრდილოეთის პოლუსი, 22 აგვისტო

ამხ. გრომოვს, იუმაშევს, დანილინს

მოგესალმებით ძვირფასო ამხანაგებო, მშობლიურ მოსკოვში. თქვენი შესანიშნავი გაფრენა განსაკუთრებული მკაფიო ხმითა და საქმის ცოდნით განირჩეოდა და უეჭველია იგი სანიმუშო გახდება ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ასე უნდა ჰფრინავდეს ყველა ჩვენი მფრინავი.

ი. ტ. სპირინი.
საბჭოთა კავშირის გმირი, ბრიგადის მეთაური

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაყოფის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გამოიყოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობიდან მანქანათმშენებელი მრეწველობა (ავტომატრაქტორო დაზგათმშენებელი, ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათა მშენებელი ქარხნები, ქვაბტურბინებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობა და ა. შ.), აგრეთვე ლითონის ნაკეთობათა, ფერად ლითონთა დამშუშავებელი, რეზინისა და კაუჩუკის მრეწველობის ქარხნები, ტექნიკური მინის ქარხნები და შეიქმნას ცალკე მანქანათმშენებლობის საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატი.

2. მძიმე მრეწველობას ყველა დანარჩენი დარგი, მათ რიცხვში ყველა სახის სათბობისა, ელექტროსადგურები, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური, საამშენებლო მასალათა წარმოება და ა. შ., დარჩეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში.

3. მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრად დამტკიცდეს ამხ. ვალერი ივანეს-ძე მეძლაუკი.

4. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად დამტკიცდეს ამხ. ლავრენტი ბერიას ძე კაგანოვიჩი, გზათა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლებით.

5. გზათა სახალხო კომისრად დამტკიცდეს სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ალექსი ბენედიქტეს-ძე ბაკულინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
1937 წ. 22 აგვისტო.

მოსკოვ-ჩრდილო ამერიკის მარშრუტით გადაფრენათა მომწყობი მთავრობის კომისიისაგან

22 აგვისტოს კვლავ აღინიშნული იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბუნდოვანად ისმოდა სადგური ტალღაზე და ამხ. ლევანევსკის თვითმფრინავისათვის დამახასიათებელ ვადებში. გარჩეულია მხოლოდ ცალკეული ასოები.

აქვე რა მხედველობაში, რომ თვითმფრინავზე დაუზიანებელი დარჩა მიმღები, პოლარული სადგურებიდან დღეში რამდენჯერმე იძლევიან ცნობას ეთერში ეკიპაჟისათვის ამ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია მის მოსაძებნად.

გრძელდება თვითმფრინავთა თავმოყრა ყინულოვანი ოკეანის ნაპირებზე. ვილკინსის ექსპედიცია „ლ-2“ თვითმფრინავით ჩავიდა მდინარე კოპერმაინის შესართავთან, კანადის ჩრდილო ნაწილში.

ამხ. გრიდიანსკის თვითმფრინავი მიფრინდა კოუენტკოვის ბუხტაში. ნორდვიკის მახლობლად ხატანგის ჭურეში. ამხ. გოლოვინის თვითმფრინავი, რომელიც ტუმენიდან გაფრინდა, დაეშვა სოფელ კარმა-კარისთან. ობის ბოლო მდინარებაზე.

როგორც ფერმენჭიდან იუწყებიან, ფორდის სისტემის თვითმფრინავი, რომელსაც საწვავი მასალა უნდა მიეწოდებინა ჰაერში მატერნის თვითმფრინავისათვის, იძულებითი ძირს დაშვების დროს დაზიანდა ფერმენჭის სამხრეთით. ეკიპაჟი უვნებელი გადარჩა.

ყინულმჭრელი „კრასინი“ გავიდა მძიმე ყინულიდან და 71 პარალელით მიემართება დასავლეთისაკენ, რათა შეხვდეს გემს „მეჩიოინს“, რომელსაც მისთვის მიაქვს ქვაბ-ნახშირი, და რომელმაც უკვე გაიარა ბერინგის სრუტე.

ამხ. შეველიოვის ექსპედიციის თვითმფრინავებმა 22 აგვისტოს ჩაიტარეს საკონტროლო ფაფრენები, რომლის დროსაც თვითმფრინავები სრულ წესრიგში აღმოჩნდნენ. 23 აგვისტოს თვითმფრინავებს დატვირთავენ და ჩაასხმენ საწვავ მასალას.

◇ ◇ ◇

მეორე ხუთწლედის სესხის მე-3 ვირაჟი

მოსკოვი, 23 აგვისტო (საქედესი). 25 აგვისტოს ქ. ფრუნზეში მოხდება მეორე ხუთწლედის სესხის მესამე ტირაჟი. ყირგიზეთის სსრ რეს პუბლიკის დედაქალაქი სადღესასწაულო ელფერს იღებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა საკითხი საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მდგომარეობისა და მათი მუშაობის გასაჯანსაღებელ ღონისძიებათა შესახებ.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამჟამად მხილებული ხალხის მტრების, მიწსახკომისა და ზოგიერთი მტს-ის ყოფილ ხელმძღვანელთა მავნებლური ძირგამომთხრელი მუშაობის შედეგად საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ ვერ დაიკვეხნიან, რომ მათ შეასრულეს საბრძოლო დავალება.

მოხსენებაში სპეციალური თავები აქვს მიძღვნილი კადრების საკითხსა და, რაც მთავარია, შემტევ რევოლუციურ სიფხიზლეს.

„პროლეტარული დიქტატურის ფოლადის ხელი, — ამბობდა ამხ. ლ. ბერია,— დაუნდობლად მოსპობს ყველა იმას, ვინც შეეცდება ხელი შეახოს სოციალიზმის საქმეს, რომლის სულისჩამდგმელი და გამძარკვებათა ორგანიზატორი არის დიდი სტალინი“.

ერთი წლის მანძილზე გამომჟღავნებულ იქნა მიწათმოქმედების ორგანოებში მოკალათებულ ჯაშუშთა, ტროცკისტ-დივერსანტთა ბინძური ხროვა ობერჯაშუშ მათიაშვილის მეთაურობით. ამ ცოფიან ძაღლთა საბოლოო გამოვლინება და გასრესა აუცილებელი პირობაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურება, სამიწათმოქმედო ორგანოების ბოლშევიზმს დაუფლებული და თავისი საქმის მცოდნე ახალი კადრებით გაძლიერება იმის აუცილებელი პირობაა, რომ დიდი საბრძოლო პროგრამა, დასახული საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წ. აგვისტოს პლენუმზე, წარმატებით განხორციელდეს.

ორდენოსანი საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა განუხრელად უნდა განახორციელონ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამხანაგ ლავრენტი ბერიას საბრძოლო დავალებანი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა საკითხი საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მდგომარეობისა და მათი მუშაობის გასაჯანსაღებელ ღონისძიებათა შესახებ.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამჟამად მხილებული ხალხის მტრების, მიწსახკომისა და ზოგიერთი მტს-ის ყოფილ ხელმძღვანელთა მავნებლური ძირგამომთხრელი მუშაობის შედეგად საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ ვერ დაიკვეხნიან, რომ მათ შეასრულეს საბრძოლო დავალება.

მოხსენებაში სპეციალური თავები აქვს მიძღვნილი კადრების საკითხსა და, რაც მთავარია, შემტევ რევოლუციურ სიფხიზლეს.

„პროლეტარული დიქტატურის ფოლადის ხელი, — ამბობდა ამხ. ლ. ბერია,— დაუნდობლად მოსპობს ყველა იმას, ვინც შეეცდება ხელი შეახოს სოციალიზმის საქმეს, რომლის სულისჩამდგმელი და გამძარკვებათა ორგანიზატორი არის დიდი სტალინი“.

ერთი წლის მანძილზე გამომჟღავნებულ იქნა მიწათმოქმედების ორგანოებში მოკალათებულ ჯაშუშთა, ტროცკისტ-დივერსანტთა ბინძური ხროვა ობერჯაშუშ მათიაშვილის მეთაურობით. ამ ცოფიან ძაღლთა საბოლოო გამოვლინება და გასრესა აუცილებელი პირობაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურება, სამიწათმოქმედო ორგანოების ბოლშევიზმს დაუფლებული და თავისი საქმის მცოდნე ახალი კადრებით გაძლიერება იმის აუცილებელი პირობაა, რომ დიდი საბრძოლო პროგრამა, დასახული საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წ. აგვისტოს პლენუმზე, წარმატებით განხორციელდეს.

ორდენოსანი საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა განუხრელად უნდა განახორციელონ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამხანაგ ლავრენტი ბერიას საბრძოლო დავალებანი.

ერთი წლის მანძილზე გამომჟღავნებულ იქნა მიწათმოქმედების ორგანოებში მოკალათებულ ჯაშუშთა, ტროცკისტ-დივერსანტთა ბინძური ხროვა ობერჯაშუშ მათიაშვილის მეთაურობით. ამ ცოფიან ძაღლთა საბოლოო გამოვლინება და გასრესა აუცილებელი პირობაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურება, სამიწათმოქმედო ორგანოების ბოლშევიზმს დაუფლებული და თავისი საქმის მცოდნე ახალი კადრებით გაძლიერება იმის აუცილებელი პირობაა, რომ დიდი საბრძოლო პროგრამა, დასახული საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წ. აგვისტოს პლენუმზე, წარმატებით განხორციელდეს.

ორდენოსანი საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა განუხრელად უნდა განახორციელონ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამხანაგ ლავრენტი ბერიას საბრძოლო დავალებანი.

ერთი წლის მანძილზე გამომჟღავნებულ იქნა მიწათმოქმედების ორგანოებში მოკალათებულ ჯაშუშთა, ტროცკისტ-დივერსანტთა ბინძური ხროვა ობერჯაშუშ მათიაშვილის მეთაურობით. ამ ცოფიან ძაღლთა საბოლოო გამოვლინება და გასრესა აუცილებელი პირობაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურება, სამიწათმოქმედო ორგანოების ბოლშევიზმს დაუფლებული და თავისი საქმის მცოდნე ახალი კადრებით გაძლიერება იმის აუცილებელი პირობაა, რომ დიდი საბრძოლო პროგრამა, დასახული საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წ. აგვისტოს პლენუმზე, წარმატებით განხორციელდეს.

ორდენოსანი საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა განუხრელად უნდა განახორციელონ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამხანაგ ლავრენტი ბერიას საბრძოლო დავალებანი.

ერთი წლის მანძილზე გამომჟღავნებულ იქნა მიწათმოქმედების ორგანოებში მოკალათებულ ჯაშუშთა, ტროცკისტ-დივერსანტთა ბინძური ხროვა ობერჯაშუშ მათიაშვილის მეთაურობით. ამ ცოფიან ძაღლთა საბოლოო გამოვლინება და გასრესა აუცილებელი პირობაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურება, სამიწათმოქმედო ორგანოების ბოლშევიზმს დაუფლებული და თავისი საქმის მცოდნე ახალი კადრებით გაძლიერება იმის აუცილებელი პირობაა, რომ დიდი საბრძოლო პროგრამა, დასახული საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წ. აგვისტოს პლენუმზე, წარმატებით განხორციელდეს.

ორდენოსანი საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა განუხრელად უნდა განახორციელონ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამხანაგ ლავრენტი ბერიას საბრძოლო დავალებანი.

მდგომარეობა ესპანეთში

პარტიზანული ომი მეამბოხეთა წინააღმდეგ

პარიზი, 21 აგვისტო (საქდესი). ლტოლვილ გონსალესის წათქვამის თანახმად, ესპანის საგენტო იუწყება, რომ მეამბოხეთა მიერ დაკავებული უელვის მთის რაიონის მიდამოებში სულ უფრო და უფრო ხშირდება პარტიზანული რაზმების გამოსვლები. ეს რაზმები შესდგება უელვის მცხოვრებლებისაგან, რომლებიც ფაშისტური ამბოხების შემდეგ მთებში გაიხიზნენ და უკვე მთელი წელიწადია პარტიზანულ ომს აწარმოებენ.

ამ დღეებში პარტიზანებმა ააფეთქეს რკინიგზის ორი ხიდი იმ დროს, როცა ამ ხიდებზე მეამბოხეთა მატარებლები გადადიოდნენ.

მთელ რაიონში, მძვინვარებს ფაშისტური ტერორი. როგორც ლტოლვილი გადმოგვცემს, მეამბოხეებმა მოჰკლეს დაახლოებით 30 ათასი რესპუბლიკელი. გონსალესმა აგრეთვე აღნიშნა, რომ იტალიისა და გერმანიის სამხედრო გემები და განსაკუთრებით გერმანიის წყალქვეშა ნავები ხშირად შედიან უელვის ნავსადგურში.

გერმანია საომარ საჭურველს უგზავნის მეამბოხეებს

პარიზი, 22 აგვისტო (საქდესი.) ესპანის საგენტოს კორესპონდენტი ჰამბურგიდან გადმოგვცემს ახალ დაწვრილებითს ცნობებს გერმანიიდან ესპანელ მეამბოხეთათვის საომარი მასალის გაგზავნის შესახებ.

ბოკელჰაიმის ფირმა, რომელიც იარაღს აწვდის მეამბოხეებს, ოვალტერთისათვის იყენებს პატარა ნავსაშენს ქალაქ ჰამბურგში. ამ ნავსაშენიდან გემები მიდიან ყვითელი ალმით, რაც მოწმობს, რომ მათ მიაქვთ ფეთქებად ნივთიერებათა ტვირთი. ამ ცოტა ხნის წინათ იქ მეამბოხეებისათვის დატვირთეს 24 ჯავშნოსანი. ამ დღეებში ნავსადგურიდან გავიდა გემი „კორდელია“ სამხედრო მასალის ტვირთით.

ფირმა „მატიას როდე“ ჰამბურგში ოფისსა და ივლისში სტვირთავდა ჯავშანმაზარ ყუთებს იარაღით ცნობილი.

ფრანკოს ჯაშუშების დაპატიმრება ალჟირში

პარიზი, 22 აგვისტო (საქდესი). პოლიციამ ორანის დეპარტამენტში (ალჟირი) აღმოაჩინა ესპანელ მეამბოხეთა ჯაშუშური ორგანიზაცია, რომელიც ამავე დროს აგროვებდა ჯარისკაცებს ფრანკოსათვის. ერთი გემის კაპიტნის დახმარებით, მეამბოხეთა აგენტებს მოტყუებით მიჰყავდათ უმუშევრებს ფრანკოს არმიაში, ჰპირდებოდნენ რა მათ სამუშაოს ვითომ ალჟირის სხვა რაიონში. ჩასხმდნენ რა უმუშევრებს გემში ამ აგენტებს შემდეგ ისინი მიჰყავდათ მეამბოხეთა ტერიტორიაზე.

ინგლისის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში

საქართველოში რამდენიმე დღეს სტუმრად იყო ინგლისის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ჩერნოვის მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს პროფესორი ჯონ როსელი —ინგლისის სასოფლო - სამეურნეო მეცნიერების ერთერთი უღირსად გამოჩენილი მოღვაწე და დირექტორი მსოფლიოში ერთერთი უძველესი საცდელი ადგურისა (ლონდონის მახლობლად), რომელსაც აქვს 150 წლის განგრძლივობის მთელი რიგი ცდები. დელეგაციაში შედიან სატყეო ინსტიტუტის პროფესორი კრისტალი და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი პეჭლანი. მათთან ერთად ჩამოვიდა 15 ადიუნქტი—ასპირანტები, დოცენტები და აგრო-პედაგოგები. მიწსახკომიდან დელეგაციას თან ახლდა ამხ. ა. ბ. თუმანოვი.

სსრ კავშირში დელეგაცია ეცნობა სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს — სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის დაყენებასა და წარმოებითი მეცნიერების მიღწევების დანერგვას.

ჩვენი ჩამოსვლის ძირითადი მიზანია, — განაცხადა პროფესორმა ჯონ როსელმა, — გავფანტოთ ის ცრუ, რასაც ტროცკისტ-თეთრგვარდიელ - ფაშისტი ელემენტები ავრცელებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა ქვეყნის შესახებ.

დელეგაციამ მუშაობა დაიწყო კიევიდან, სადაც დაათვალიერა ორი კოლმეურნეობა და აგრო - ნიადაგის ინსტიტუტი. ოდესაში უცხოელი სტუმრები გაეცნენ კარლ ლიბკნეხტის სახელობის კოლმეურნეობას, ეწვივნენ აკადემკოს ლისენკოს, რომელმაც, პროფ. დოქტორ ჯონს როსელის სიტყვით, მათზე „ჯადოქრის“ დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა.

საქართველოს გაცნობა დელეგაციამ ბათუმიდან დაიწყო. აჭარაში მან დაათვალიერა ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა, ჩაქვი, ჩაის ფაბრიკა, ბოტანიკური ბაღი. დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აჭარაში სოციალისტური მიწათმოქმედებისა და განსაკუთრებით სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ზრდამ.

თბილისიდან ინგლისელი მეცნიერები კახეთს გაემგზავრნენ. ისინი ეწვევიან წინანდლის საბჭოთა ძეურნეობას, დაათვალიერეს პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობა.

21 აგვისტოს დელეგაცია ერევანს გაემგზავრა.

დელეგაციას განზრახვა აქვს უკახ დაბრუნდეს საქართველოს სამხედრო გზით (საქდესი).

იაპონიის ავანჯურა ჩინეთში

ბრძოლა შანხაიში

შანხაი, 22 აგვისტო (საქდესი). ომის 9 დღეს, მიუხედავად დიდი ბრძოლებისა, შანხაის ფრონტის მდგომარეობაში არ მოუტანია დიდი ცვლილებანი. 21 აგვისტოს დაიწყო სასტიკი ხელჩართული ბრძოლა ქუჩაში ხონკიუს არხის გასწვრივ, რასაც მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. ჩინეთის ჯარებმა მიაღწიეს ისტ ჰანდიური-რონის ხიდს. ორივე მხარეს სერიოზული ზარალი მოუვიდა. ჩინელების ცნობით, იაპონიის პოზიციების ორი მესამედი საერთაშორისო სეტლმენტის აღმოსავლეთ ნაწილში ჩინელების ხელშია.

დაახლოებით დღის 14 საათზე იაპონის 6 ყუმბარმზიდმა სასტიკი ბომბარდირება აუტეხა ჩაპეის.

სენტრალ ნიუსი ოფიციალურად ადასტურებს 20 აგვისტოს ქუჩებში გაჩენილებულ ხმებს იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სეტლმენტის დამცველმა რაზმმა განაიარაღა 70 იაპონელი, რომლებიც ცდილობდნენ სეტლმენტში შესვლას.

დღეს დადასტურდა ცნობა იაპონელ დამხმარე ძალების ჩასვლისა და იაპონელ მეზღვაურთა გადმოსხმის შესახებ ჩუნმინის კუნძულზე (მდინარე იანძის შესართავი), სადაც ასწრაფოდ აგებენ აეროდრომს. კუნძული ხდება იაპონელთა სამხედრო ოპერაციების ბაზად.

სენტრალ ნიუსი იუწყება, რომ იაპონელებმა კვლავ სცადეს გადამსხდარიყვნენ ლიხეის (კოძეულ ჩუნმინის პირდაპირ) რაიონში, მაგრამ უშედეგოდ. ჩინელი ჯარები ამჟამად მესამე შეტევას ამზადებენ შანხაის ყველა ფრონტზე.

ჩინეთის ოფიციალური ცნობით, შანხაის ბრძოლების განმავლობაში ჩინელმა ჯარებმა ხელთ იგდეს იაპონიის 13 ტანკი.

შანხაი ცეცხლის აღშია გახვეული

შანხაი, 21 აგვისტო (საქდესი). შანხაის აღმოსავლეთი ნაწილი ცეცხლის ალშია გახვეული. უეისაიდის ჭუჩის რაიონი დაიწვა. ყველგან მოსჩანს შენობათა ნანგრევები, რომლებსაც კვამლი ასდის. მდინარის შეორე მხარეზე, პუტუნში, ხუთ ადგილას გაჩნდა ხანძარი. იწვის იაპონიის საწარმოები. ცეცხლი გაჩნდა გუშინ დილით მას შემდეგ, რაც იაპონიის თვითმფრინავებმა საჰაერო ბომბარდირება დაიწყეს. იაპონიის აგენტებმა ცეცხლი წაუკიდეს თამბაქოს ფაბრიკას. დღეს დილით ხანძარი გაჩნდა აგრეთვე მთელ ოცდა სხვა ადგილებშიც.

ჯიანძინში ჩადიან იაპონიის ჯარების დიდი დამხმარე ძალები

შანხაი, 22 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ტიანძინიდან კორესპონდენტი იუწყება, რომ ტიანძინში კვლავ ჩადიან იაპონიის ჯარების დიდი დამხმარე ძალები. ტაკუში ჩავიდა იაპონიის დაახლოებით 50 სამხედრო ტრანსპორტი ქვეითი ჯარით, კავალერიით, არტილერიითა და საომარი საჭურველით. ჯარებს ნაწილობრივ გზავნიან კატარღებით, ნაწილობრივ ლაშქრული წესით მდინარის სამხრეთ ნაპირის გასწვრივ. გამორკვეულია, რომ ჩრდილო-ჩინეთში უკვე ჩავიდა იაპონიის 80 ათასი ჯარისკაცი, ზოგიერთი მეთვალყურე კი 100 ათასს ასახელებს.

ბრძოლა ნანკოუს მთის გასასვლელისათვის გრძელდება

ლონდონი, 22 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ბეიპინიდან გადმოგვცემს, იაპონიის სარდლობის ცნობით, ბრძოლა ნანკოუს მთის გასასვლელისათვის გრძელდება. იაპონელები ამტკიცებენ, რომ მათ წინ წაიწიეს. გასასვლელს ენერგიულად იცავს ჩინეთის სამი დივიზია.

ღვოლვილები ჩინეთიდან

ლონდონი, 22 აგვისტო (საქდესი). როგორც „ობსერვერი“ გადმოგვცემს, ჰონკონგში რეგისტრაციაში გატარებულია 20 ათასი ლტოლვილი ჩინეთიდან. გარდა ამისა, როგორც ჰფიქრობენ, არის კიდევ რამდენიმე ათასი, რომლებიც ინგლისტრაციაში გაუტარებელი არანაკლებ 30 ათასი ლტოლვილისა. ჰონკონგში ჩასულნი ერთსულოვნად აძლევენ მაღალ შეფასებას ჩინეთის ჯარების მორალურ მდგომარეობას.

მარიზ ბასჭიე და სიუზანა ჭილიე სსრ კავშირში ყოფნის შესახებ

პარიზი, 22 აგვისტო (საქდესი). „ლუმანიტე“ ჰბეჭდავს ვაიან კუტურიეს საუბარს ფრანგ მფრინავ ქალებთან ბასტიესა და ტილიესთან, რომელნიც ამასწინათ დაბრუნდნენ პარიზ-კრასნოიარსკ-პარიზის მარშრუტით გაფრენიდან. მფრინავები გაოცებული არიან უდიდესი განსხვავებით სსრ კავშირის ცხოვრებაში ამჟამად და 1931 წელს, როდესაც ბასტიემ პირველად ინახულა სსრ კავშირი. საუცხოოდ მოწყობილი აეროდრომები, მშვენივრად მოასფალტებული ბილიკები, ბედნიერი, ჯანსაღი და ლამაზი ბავშვები, რომლებიც ეგებებოდნენ მათ შეძახილებით „გაუმარჯოს საფრანგეთს“, ჩინებული სასტუმრო „მოსკოვი“, ცასებჯინები, ავტომობილების გაუწყვეტელი მოძრაობა იქ, სადაც წინათ მიყრუებული სოფლები და პატარა სახლები იყო—აი ბასტიეს და ტილიეს ზოგიერთი ყველაზე უფრო ნათელი შთაბეჭდილება. მაგრამ მფრინავები კიდევ უფრო მეტი ენტუზიაზმით ლაპარაკობენ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისა და საბჭოთა ადამიანების შესანიშნავ დამოკიდებულებაზე მათ მიმართ: „ჩვენ გვქონდა მხოლოდ ინგლისური ფრანკები, საგრძნობლად მოძველებული, გვაამბობენ მფრინავები.— მოსკოვში გვარჩევენ მთელი დასტა მშვენიერი დაწვრილებითი საბჭოთა რუკები. მივფრინდით რა ომსკში, იქ გავატარეთ საუცხოო საღამო. დაგვთმეს დიდი და კარგად მოწყობილი ოთახები აეროდრომზე... აქეთობისას ცენტრალური ევროპის მთელ გზაზე გულთბილად და პატივსცემით გვხვდებოდნენ, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით მადლობელი ვართ პილოტებისა და აეროპორტთა უფროსების ძიღებით ციმბირში. ძიღება იყო განსაკუთრებით გულთბილი, ძმური, ადამიანური... თქვენ თვითონ გესმით, მოსკოვი—ეს დედაქალაქია, მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნოა, როდესაც ასეთ ყურადღებასა და სიყვარულს ჰგრძნობ შორეულ ციმბირში!“

დასასრულ მფრინავებმა აღნიშნეს საფრენოსნო სპორტის უდიდესი გაქანება და ნამდვილი მასობრივი ხალხური ხასიათი საბჭოთა კავშირში, მთელი საბჭოთა ხალხის დიდი გატაცება ავიაციით, პილოტების შერჩევის საქმის უაღრესად მეცნიერულ დაყენებასთან ერთად.

ნანკინის საჰაერო ბომბარდირება

შანხაი, 22 აგვისტო (საქდესი). გუშინ იაპონიის 24 მძიმე ყუმბარმზიდმა ყუმბარები დაუშინა ნანკინს. ორი ყუმბარმზიდი ჩამოგდებულ იქნა ნანკინში და ერთი იაპონიის ზღვაში.

„შუნბაო“ იუწყება, რომ 21 აგვისტოს დილით ქალაქ ხანჩოუზე გამოჩნდა იაპონიის 15 თვითმფრინავი, რომლებმაც ჩამოაგდეს რამდენიმე ყუმბარა. თვითმფრინავებს ჩინელებმა დაუშინეს საზენიტო არტილერია და იძულებული გახადეს უკან გაბრუნებულიყვნენ. დღისით ხანჩოუზე კვლავ გამოჩნდა იაპონიის 6 თვითმფრინავი, მაგრამ ყუმბარების ჩაშენა მათ ვერ შესძლეს.

21 აგვისტოს დამით ხანკოუზე გამოჩნდა იაპონიის 11 თვითმფრინავი. თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს მხოლოდ სამი ყუმბარა, რის შემდეგ ჩინეთის ავიაციამ აიძულა ისინი წასულიყვნენ.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის ხუთ წლის გეგმა

1932 წლის 16 აგვისტოს ხაშურის სადგურზე გაიმართა გრანდიოზული მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ხაშური-ჯუღელის ელექტროფიცირებული უბნის საექსპლოატაციოდ გადაცემას. ამ უბნის სიგრძე უღრის 63 კილომეტრს.

სიამაყით, სიხარულით და პატრიოტიზმით სავსე მთავრობისადმი ერთგულებით იყო გამსჭვალული გამოსვლები მიტინგზე. ეს სიამაყე და სიხარული, მიტინგის მონაწილეებმა გამოხატეს მისასალმებელ დეპეშაში დიდი სტალინისადმი.

იმავე დღეს სრულ 2 საათზე ხაშურიდან გავიდა სტუმრებით სავსე პირველი ორი ელექტრომატარებელი, მორთული დროშებით, მწვანე ტოტებითა და ლოზუნგებით. უბნის გახსნა გადაიქცა დიდ დღესასწაულად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უღელტეხილის მთელმა მოსახლეობამ.

სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაცია იყო სატვირთო მოძრაობის მაგისტრალური რკინიგზის ხაზზე ელექტროწევის შემოღების პირველი ცდა საბჭოთა კავშირში.

ელექტროფიკაციამ გააბათილა ყველა წინანდელი წარმოდგენა მატარებლების სიჩქარისა და წონის შესახებ სურამის საუღელტეხილო უბანზე. სამგზავრო მატარებელი, წონით 440 ტონა, ორთქლის წევით ჯუღელიდან ხარაგოულამდე მიდიოდა ორმაგი წევით და არა უმეტეს 16-20 კილომეტრის სიჩქარით, შემდეგ კი — სამმაგი წევით. ამჟამად სამგზავრო მატარებელი, წონით 450 ტონა, მთელ საუღელტეხილო უბანზე მიჰყავს ერთ ელექტრომავალს 44 კილომეტრამდე სიჩქარით.

ხუთი წლის განმავლობაში უბანზე წარმოიშვა ბევრი ადამიანი შრომის მაღალი ნაყოფიერებით, რომელთაც შემდეგში უზრუნველჰყევს მეზობელი უბნების ელექტროფიკაცია და მათი სრული ათვისება.

ორდენოსანი შემანქანეების ამხ. გაფრინდაშვილისა და კურტანიძის სახელები ცნობილია არა მარტო ამიერკავკასიის გზაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მათი ინიციატივით უღელტეხილსა და თბილისი-ხაშურის უბანზე გადიდდა მატარებლების წონა და სისწრაფე. უღელტეხილზე საჭონლის ძძიმე შეშადგენლობები, რომლებიც დიდი სისწრაფით მიდიან, ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

ბერიას სახელობის ელექტროდეპოში აძჟამად ითვლება ელექტრომავლის ტარების 45 ოსტატი და ათობით რემონტის ოსტატები. მთელმა რიგმა მემანქანეებმა უკვე მიაღწიეს სარეკორდო გარბენებს ელექტრომავლების პერიოდულ შეღწმებათა შორის. მაგალითად, მემანქანეებმა ბოხუამ, მახვაძემ და სხვებმა თავიანთი ელექტრომავალი სარემონტოდ დააყენეს მას შემდეგ, რაც ამ ელექტრომავალით გაიარეს 97 ათასი კილომეტრი. კიდევ უფრო მეტ შედეგებს მიაღწიეს მემანქანეებმა ფრანჩუკმა, კურტანიძემ და ჯაფარაშვილმა, რომლებმაც პერიოდულ გასინჯვათა შორის 100.000 კილომეტრი გაიარეს. ხანგრძლივი ურემონტო გარბენისათვის იბრძვის დეპოს მემანქანეთა რიცხვის ნახევარი.

ამის შემდეგ რემონტის ხოცულობა დღითიდღე მცირდება. თუ წინათ ელექტრომავალი სარემონტოდ დგებოდა საშუალოდ 6-7 ათასი კილომეტრის გარბენის შემდეგ, ახლა ურემონტო გარბენა საშუალოდ დეპოში 20-25 ათას კილომეტრს აღწევს.

ელექტროფიკაციის მუშაკები ეხერხულად ემზადებიან სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის 5 წლისთავის დღესასწაულისათვის, რომელიც 25 აგვისტოს ეწყობა ხაშურში. ბერიას სახელობის ელექტროდეპოში მთავრდება სასადილოსი და წითელი კუთხის მშენებლობა.

მემანქანეების ამხ. ბოხუას, მახვაძისა და ტატიშვილის ბრიგადამ, რომელმაც ურემონტოდ 97 ათასი კილომეტრი გაიარა, იკისრა ვალდებულება გაიაროს ურემონტოდ 150 ათასი კილომეტრი.

15 აგვისტოდან ყველა ელექტროფიცირებულ უბანზე ტარდება სტახანოვური დეკადა.

25 აგვისტოს, მიტინგის შემდეგ, ელექტროზეპოს ტერიტორიაზე მოხდება ელადეტარიატის მსოფლიო ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნა.

თბილისის მუსიკალური ფაბრიკის პარტორგი ამხ. ნალიანი მუშებს უკითხავს „დებულებას სსრკ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ალ. ზიგზიგაძე
საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის მდივანი

გვიყვარდეს და ვიცოდეთ ბოლშევიზმის ისტორია

საქ. კ. პ. (ბ) ც. კის პლენუმზე ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცობა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე“ გენიალურად განმარტა პარტიული, საბჭოთა და ეკონომიური პოლიტიკის ფორმირების ისტორიული ეტაპების შესწავლის მნიშვნელობა.

„საქსარეწმდნოვეცსალაროს“ პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელ წრეში თავდაპირველად 21 მსმენელი ირიცხებოდა. დაკომპლექტებისას ყურადღება არ მიუქცევიათ მსმენელთა ცოდნის დონის სხვადასხვაობისათვის. პროპაგანდისტობა მიანდეს ვინმე ბახტაძეს, რომელიც პროპესმინარებს სისტემატურად აცდენდა და საკუთარ თავზე ცოტას მუშაობდა. ბახტაძე მეცადინეობაზე ზოგჯერ მოუმზადებელი ცხადდებოდა, არ აღგენდა კონსპექტს, არ სარგებლობდა შბატერული ლიტერატურით. მსმენელებიც ჰბაძავდნენ „ხელმძღვანელს“ და თავს არ იწუხებდნენ იმ ლიტერატურის დამუშავებით, რომელსაც მათ „პროპაგანდისტი“ ბახტაძე უთითებდა. ამას დაერთო მსმენელთა ცვალება დონა. გამოშვებამდე წრეში 21 მსმენელიდან მხოლოდ 7 კაცი დარჩა. ამ ორგანიზაციის ყოფილი პარტორგი ბენდუკიძე ხედავდა ამ აღმაშფოთებელ ფაქტებს, თვითონაც ბევრჯერ დაესწრო წრის მეცადინეობას, მაგრამ ვერავითარი ნაკლი ვერ შენიშნა. ამიტომ მან საჭიროდ არ ჩასთვალა პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის მუშაობის სერიოზული შემოწმება და განხილვა პარტიულ ორგანიზაციაში. ყველაფერი ეს მოხდა იმიტომ, რომ, როგორც შემდეგ გამოირკვა, თვითონ ბენდუკიძემ ცუდად იცის ბოლშევიკების გმირული ბრძოლების ისტორია. ბუნებრივია, რომ პოლიტიკურად უცოდინარ კაცს არ შეეძლო შეენიშნა პარტიის ისტორიის შესწავლაში არსებული ნაკლოვანებანი.

წრის ვერცერთმა მსმენელმა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩააბარა კოლისიას გავლილი მასალები. ამ ორგანიზაციის წევრი ა. გრიგოლია მესამე წელიწადია მეცადინეობს პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელ წრეში, მაგრამ პარტისტორიის საკვანძო საკითხებზე წარმოდგენა არა აქვს. პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. გეგელია მცირემცოდნე აღმოჩნდა და იგი მცირემცოდნეთა სკოლაში გადარიცხეს. რაიკომის ბიუროს „საქსარეწმდნოზღვევსალაროს“ პარტორგი ბენდუკიძე, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო პარტიის ისტორიის შესწავლის სათანადოდ დაყენება, მოხსნა პარტორგობიდან.

საქ. სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის პარტკომმა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ამაღლებისა და თავის თავზე მუშაობის საკითხები თავიდანვე სასხვათაშორისოდ მიიჩნია. პარტკომმა კომიტეტმა (მდივანი ამხ. კ. გრიგოლია) თავისი მოვალეობა პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი წრის მხოლოდ ჩამოყალიბებით ამოსწურა. დაკომპლექტებისას აქაც მხედველობიდან გამორჩათ მსმენელთა მომზადების დონე. წრეში მუშაობა უწესრიგოდ დაიწყო. მთელი წლის განმავლობაში ხშირი იყო მეცადინეობაზე მსმენელებისა და პროპაგანდისტის დაგვიანება და გაცდენები.

ამ ორგანიზაციამ პროპაგანდისტთა გამოშვებამდე სამი პროპაგანდისტის მოხსნა მოასწრო. პროპაგანდისტები მეცადინეობას ატარებდნენ მხოლოდ იაროსლავსკის და სხვ. სახელმძღვანელოების მიხედვით და პარტიის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებს „აშუქებდნენ“ ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების პირობებთან მჭიდროდ დაუკავშირებლად. მსმენელებისათვის გაუგებარი რჩებოდა კომუნისტური პარტიის პრინციპული ბრძოლები ყველა ჯურის ანტირევოლუციურ მიმდინარეობებთან პარტიის ისტორიის მთელ მანძილზე.

აქ არ სცდილან პარტიის ისტორიის სწავლება გარდაექმნათ ამხანაგი სტალინის მითითების მიხედვით. პროპაგანდისტი ამხ. კალანდარაშვილი ბოლშევიკების გმირული ბრძოლების ისტორიის ფაქტებს ძველებურ წარსულ დროთა ამბების შესახებ უბრალო თხრობის ხასიათს. კალანდარაშვილი მეცადინეობას მშრალად ატარებდა. აქაც ხშირი იყო მსმენელთა დაგვიანება და გაცდენები. პარტკომის მდივანმა ამხ. გრიგოლიამ იცრუა: სისტემატურად ვამოწმებთ პარტიის ისტორიის სწავლებას და ვსახავთ ღონისძიებებსო. სინამდვილეში კი პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის მუშაობა პარტიულ კომიტეტს სერიოზულად არ შეუმოწმებია და არც ღონისძიებები დაუსახავს. ისინი კმაყოფილდებოდნენ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ლაყბობით, პრაქტიკულად კი ნამდვილ გარდაქმნაზე არ უზრუნიათ. ბუნებრივია, რომ აქ შეთვისების ხარისხიც დაბალია. წრის 23 მსმენელიდან გავლილი მასალა დამაკმაყოფილებლად ვერცერთმა ვერ ჩააბარა. გამორკვა დაკომპლექტების ნაკლოვანებებიც. წრის 4 მსმენელი გადარიცხულ იქნა მცირემცოდნეთა სკოლაში.

ანალოგიური მდგომარეობა იყო „თბილეაპრობის“ კიროვის რაიონის მაღაზიების პარტორგანიზაციაში. აქ პროპაგანდისტად მუშაობდა გრიცუკი, რომელსაც სათანადო თეორიული მომზადება არ გააჩნდა. პარტკომის მდივანი ამხ. გვენცაძე პარტორგანიზაციაში პარტიული განათლების საკითხების შესწავლით არ დაინტერესებულა. წრის მსმენელები ე. სააკოვი, ელ. ლუზუტაშვილი, ე. ბეჟანოვი, მ. ჯაკელია და სხვ. რამდენიმე წელია პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში ირიცხებიან, მაგრამ დღესაც ვერ ერკვევიან პარტიის ისტორიაში. ამ წრის ვერცერთმა მსმენელმა ვერ ჩააბარა გაელილი მასალა.

ამრიგად, აღნიშნულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების ლოზუნგის განხორციელებას ფორმალურად მოჰკიდეს ხელი. პარტიის ისტორიის შესწავლა ვერ დაუკავშირეს ცხოვრებას, პარტიის ისტორიის შესწავლა ვერ გახადეს საინტერესო, მიმზიდველი.

კიდევ მეტი, რაიონში უკანასკნელ დრომდე კომუნისტები მთლიანად არ იყვნენ ჩაბმული პოლიტგანათლების ქსელში. სარაიონო კონფერენციის წინ ჩატარებულმა შემოწმებამ გამოააშკარავა 169 კომუნისტი, რომლებიც პოლიტსწავლების გარეშე იყვნენ დარჩენილი, ხოლო ის პარტიული ორგანიზაციები, სადაც ეს კომუნისტები ირიცხებოდნენ, ზომებს არ ღებულობდნენ მათი თეორიული დონის ამაღლებისათვის.

დღემდე რაიონში პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი 137 წრიდან გამოშვება ჩატარეთ 6 წრეში, ხოლო 44 პოლიტკოდნის სკოლიდან — 4 სკოლაში.

რაიონული კომიტეტი ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობდა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. რაიკომის კულტპროპაგანყოფილება ვერ ამართლებდა ბოლშევიზმის შეთვისების ხარისხს და საჩვენ კონკრეტულ ღონისძიებებს. შედეგი ის არის, რომ ამ ორგანიზაციებში ცოცხალი და მიმზიდველი გახდა პოლიტსკოლების მეცადინეობა.

წრის ყველა მსმენელს ეტყობა ზრდა და პარტიის ისტორიის გმირული ეტაპების შესწავლის უდიდესი წყურვილი. საკუთარ თავზედაც მეტს მუშაობენ, ეწაფებიან ლენინ-სტალინის ნაშრომებს, კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან მსმენელები ამხ. ნერსესოვი, პეტროუზოვი, ავოიანი, ბაღდასაროვი (სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა) და სხვ.

როგორც აღვნიშნე, ერთგვარ მიღწევებთან ერთად პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში კიროვის რაიკომს ნაკლოვანებებიც ახასიათებს. წრეების ახლად დაკომპლექტებისას უნდა გავითვალისწინოთ ყველა ეს ნაკლოვანება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის მეცნიერულ რელსებზე დაყენებას, პროპაგანდისტებად მტკიცე და შემოწმებული ბოლშევიკების შერჩევას.

მხოლოდ ლენინ-სტალინის ნაშრომების ღრმად შესწავლა გვაძლევს ბასრ იარაღს ბოლომდე აღმოვფხვრათ თანამედროვე ტროცკიზმი, მკვლევრებისა და უცხოეთის დაზვერვათა ბანდა.

მოვაბრუნოთ ჩვენი პარტიული კადრების ყურადღება საერთაშორისო და საშინაო ხასიათის საკითხებისაკენ.

„ვიცოდეთ და ვიცოდეთ ბოლშევიზმის ისტორია, დავაყენოთ პარტიის ისტორიის შესწავლა სათანადო სიმაღლეზე ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე — ასეთია ყველა პარტიული ორგანიზაციის ამოცანა“. („პრავდა“).

საბრძოლო პროგრამის განხორციელების გზით

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონია. კოლმეურნეობათა განმტკიცება და ზრდა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად და განუხრელად ბატარდება ცხოვრებაში სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება...

ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახულია საქართველოს ბოლშევიკთა წინაშე კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში, საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, მოითხოვენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გარდაქმნას და გაუმჯობესებას პარტიული, საბჭოთა და განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ორგანოების მხრივ.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წლის აგვისტოს პლენუმზე.

მარცხნიდან მარჯვნივ: სოფ. ყოროლისთავის (ბათუმის რაიონი) ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი—ორდენოსანი ამხ. აიშე გურგენიძე, კვცარიეს ნარინჯოვანთა საბჭოთა მეურნეობის მყნობის რეკორდსმენი-ორდენოსანი ამხ. არონ კატია, ორდენოსანი კოლმეურნე ამხ. ქარდავა (აფხაზეთი). ფოტო — „სოიუზფოტოს“ საქ. განყ.

ჩემი ბრიგადა ახლებურად მუშაობს

რაც უნდა მოწდომებითა და ენერგიით მუშაობდე, თუ კოლმეურნეობაში შრომა სწორად არ არის მოწყობილი, მოსავალი არ გადიდდება, გეგმას ხარისხიანად ვერ შეასრულებ. ამაში მე ბრიგადირად მუშაობის ჩემი ათი წლის გამოცდილებამ დამარწმუნა.

სოფ. რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავში“, მიუხედავად იმისა, რომ მევენახეობა აქ წამყვანი დარგია, უკანასკნელ დრომდე მოწყობილი არ იყო მევენახეობის სპეციალური ბრიგადები. ჯგუფებიც სეზონურად ეწყობოდა. როგორც მოსავლიანი, ისე ახალგაზრდა ვენახები მოსავლელად მემინდვრეობის ბრიგადებზე იყო მიმაგრებული, რაც იწვევდა გაუპიროვნებას. შრომის მოუწესრიგებლობა საშუალებას არ გვაძლევდა გაგვეგო, ვინ კარგად მუშაობდა, ვინ ცუდად, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მოსავლიანობაზე.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების შემდეგ ეს ნაკლი გამოვასწორეთ და, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ შრომა კარგადაც მოვაწყეთ. ჩამოვაყალიბეთ მევენახეობის სპეციალური, მუდმივი საწარმოო ბრიგადები. პირველი ბრიგადის ბრიგადირად მე ვმუშაობ.

ჩემი ბრიგადა 30 ჰექტარ ვენახს უვლის. ბრიგადაში გაერთიანებულია 49 მამაკაცი, 36 ქალი და 2 მოზარდი. გვაქვს ცხენის 3 გუთანი, 21 ვერმორელისა და ზურგზე ასაკიდი სასხურა აპარატი, 6 ფურგული და ურემი, გვყავს 6 ცხენი და 4 უღელი ხარ-კამეჩი.

ბრიგადას შიგნით გამოყოფილი გვყავს მუდმივი ჯგუფები, ხოლო ცალკე კოლმეურნეებზე სამი წლის ვადით მიმაგრებული გვაქვს ნარგავთა განსაზღვრული რაოდენობა, მათი ხნოვანობისა და მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგალითად, კოლმეურნე პაველ სარიჯაშვილი 3.825 ძირ სრულმოსავლიან ვენახს უვლის, ხოლო სოლომონ ძამუკაშვილი — 5.000 ძირ ახალგაზრდა ვენახს (ახალგაზრდა ვენახს სრულმოსავლიანთან შედარებით ნაკლები შრომა ესაჭიროება), კოლმეურნეები ახლა თავიანთ ნაკვეთებზე ასრულებენ ყოველგვარ სამუშაოს: თოხნას, ხვნას, შეწამლვას, გადაბარვას, შეფურჩქნა-ახვევას, სასუქის შეტანას და სხვ. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ვინ როგორ მუშაობდა წლის განმავლობაში და ვინ რა უნარი გამოიჩინა მოსავლიანობის გადიდებაში.

გაუპიროვნებას წინათ ადგილი ჰქონდა მყნობაშიაც. ერთი რომ დამყნედა, მეორე უვლიდა სათბურში. ივნერგეში მომვლელად კიდევ სხვა იყო გამოყოფილი. ასეთ პირობებში რა გასაკვირია, რომ ჩვენ ვღებულობდით ნამყენის მცირე პროცენტით გახარებას. ამხ. ლ. ბერიას მითითების შემდეგ ესეც გამოვასწორეთ. ბრიგადაში შევქმენით მყნობელთა სპეციალური ჯგუფი, რომელშიაც 10 მამაკაცი და 7 ქალი გავაერთიანეთ.

თვითეულ მყნობელს მყნობასთან ერთად დავაკვალეთ (იმ რაოდენობით, რაც მას ესაჭიროება) მწარე ლერწის გაწმენდა, საძირის დაჭრა, კვირტების შერჩევა და აღება, მის მიერ დამყნილი ვაზის სათბურიდან სანერგეში გადატანა, გათოხნა, კულტივაცია, წამლობა, მორწყვა და საერთოდ ყველა ის სამუშაო, რაზედაც დამოკიდებულია ნამყენის გახარება. მყნობელთა შრომის საბოლოო ანაზღაურებას კი ვახდენთ ნამყენის გახარების მიხედვით.

შრომის ახლებურად მოწყობით ჩემმა ბრიგადამ საუკეთესო შედეგები მოიპოვა. შარშან ვენახის ყოველ სრულმოსავლიან ჰექტარიდან 51,6 ცენტნერი მოსავალი მივიღეთ წელს, მიუხედავად იმისა, რომ ვენახი სეტყვამ დაგვიზიანა, ურწყავი ფართობიდან 60 ცენტნერს მაინც მივიღებთ. შარშან ნამყენი 75,3 პროცენტით გავახარეთ, რისთვისაც სანადირო თოფებით და პატეფონებით დავგვაჯილდოვეს. ნამყენთა გახარების მხრივ წელს უფრო უკეთესი სურათია. სულ 170.000 ძირი დავამყენით და აქედან სანერგეში 162.908 ძირი გახარებული ნერგი გადავიტანეთ. სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევიან ამ მხრივ კოლმეურნეები მარტია ძამუკაშვილი და ლადო ლოქაფიშვილი, რომლებმაც მათ მიერ დამყნილი ვაზის 95,98 პროცენტით გაახარეს.

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდებისა და იმ მითითებათა ურყევად შესრულებისთვის, რომელიც ამხ. ლ. ბერიამ საქ. კ პ. (ბ) ც. კ-ის აგვისტოს პლენუმზე მოგვცა, მომავალში ჩვენ კიდევ უფრო უკეთეს შედეგებს მოვიპოვებთ. საჭიროა მხოლოდ ჩვენს ბრიგადას მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობის გამგეობამ. საკმაო რაოდენობით არა გვაქვს ცხენის გუთნები, რაც არის, ისიც ძალიან მოძველებულია. დაგვიანებით ვღებულობთ გოგირდს, საკმარისად არა გვაქვს მავთული, რომ ვენახი ავაკრათ, ჭიგოების დამზადებას კი დიდ შრომას ვანდომებთ. გვჭირდება დახმარება ბრიგადის წევრთა შორის ინდივიდუალური სოცშეჯიბრების ხელშეკრულებათა გაფორმებისათვის. პირველი წარმატებები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ეს ნაკლოვანებებიც მალე გამოსწორდება.

ნიკო ზაქარიაშვილი

თელავის რაიონის სოფ. რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავის“ ბრიგადირი - სტახანოველი.

შრომას ფასი დაედო

საღდიონ გოგოტიშვილი

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი - სტახანოველი

ოცდათხუთმეტი წლის კაცი ვარ და შრომის ისეთ დაფასებას, როგორიც ახლაა, არ მოვსწრებივარ. შარშან აგვისტოში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხ. ლ. ბერიამ მოწინავე და შეძლებულ კოლმეურნეთა შორის მეც დამასახელა. 1935 წელს, როგორც ეს ამხანაგმა ლავრენტიმ აღნიშნა, კოლმეურნეობიდან შრომადღეზე 2.827 მანეთი ფულად და 1600 კილოგრამი სიმინდი მერგო, ხოლო საკარმიდამო მიწაზე გამენებულ მანდარინისა და ლიმონის ნაყოფიდან, რაც მთლიანად სახელმწიფოს ჩავაბარე, 15.800 მანეთი მივიღე.

შარშან ეს შემოსავალი კიდევ უფრო გაიზარდა. ჩემი ოჯახის სხვა წევრებთან ერთად 885 შრომადღე გამოვიმუშავე და კოლმეურნეობიდან მერგო ფულად 3.643 მანეთი და სხვა პროდუქტებთან ერთად 1145 კილოგრამი სიმინდი. საკარმიდამო ნაკვეთიდან (ნარინჯოვანებიდან) კი მივიღე 18.530 მანეთი. ამ შემოსავლით შევიძინე მეწველი ჯიშიანი ძროხა, პატეფონი, ტანსაცმლის შკაფი, რკინის კარაქტები, საზამთრო და საზაფხულო ტანსაცმელები. გარდა ამისა, გადავაკეთე და გავაფართოვე ოდა, მესამე თვალი მივუმატე.

წელს კოლმეურნეობიდან გაცილებით მეტ მოსავალს მოველი. ჯერჯერობით 350 შრომადღე მაქვს გამომუშავებული. ვფიქრობ წელს ამაზედ მეტი შრომადღე გამოვიმუშავო, რაც შარშან მქონდა, მაგრამ იმაზედ მეტიც რომ არ გამოვიმუშავო, მიმდინარე წლის ბოლოს უნდა მივიღო სულ ცოტა 6.788 მანეთი ფულად და 2.832 კილოგრამი მარტო სიმინდი. საკარმიდამო მიწაზე გამენებულ ციტრუსებს შარშანდელზე მეტი აბია და მისგან 25.000 მანეთზე მეტ შემოსავალს მოველი. ამრიგად წელს ჩემი შემოსავალი შარშანდელთან შედარებით თითქმის ერთიორად იზრდება.

შრომით წინათაც ვშრომობდი, მაგრამ მაშინ სიმინდი სანახევროდაც არ მყოფნიდა, რიგიანად ტანთ არ მეცვა და ფეხთ. ახლა კი შრომას ფასი დაედო და ოჯახისთვის გახდა. ამიტომაა, რომ კოლმეურნეობას ისე ვეყურები, როგორც ჩემს საკუთარ ოჯახს.

მახარია, რომ შეძლებულთა რიცხვი ჩვენს, სოფ. ნატანების (მახარაძის რაიონი) ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება. ახლა ვინც ბეჯითად და მუყაითად შრომობს კოლმეურნეობაში, მას ფულიც ბევრი აქვს და სიმინდიც, დაფასებაცა და პატივისცემაც. ჩვენი კოლმეურნეობის წევრმა გიორგი გორგილაძემ კოლმეურნეობიდან მიღებული შემოსავლით წელს პიანინო შეიძინა და ახალი სესხის 1000 მანეთის ობლიგაციებზე მოაწერა ხელი. შეძლებულად, მხიარულად და კულტურულად ცხოვრობენ აგრეთვე ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ყარამან მიმინოშვილი, დათიკო ნაკაიძე, მიხაკო წოლიძე, მიხაკო კოსტავა და ასობით კიდევ სხვები. უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში მრავალმა კოლმეურნემ აიგო ახალი ოდა, შეიძინა ცხენი, მეწველი ძროხა, პატეფონი, ველოსიპედი და ძვირფასი საოჯახო ნივთები.

რამდენიმე წელია ბრიგადირად ვმუშაობ. არ ვზოგავ ენერგიას და მონდომებას, რომ ჩემი ბრიგადა ყოველმხრივ სანიმუშო იყოს. გეგმებს მუდამ ვადაზე და ხარისხოვნად ვასრულებ. წელს მარტო ჩემმა ბრიგადამ 1.500,000 ცალი მანდარინი და ლიმონი უნდა მოჰკრიფოს და ჩააბაროს სახელმწიფოს. ეს გეგმა უსათუოდ გადაჭარბებით შესრულდება.

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას ჩემი ბრიგადის წევრები ზედმიწევნით იცნობენ. მათ კარგად იციან, რომ არტელის წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ურყევი კანონია და მისი ზუსტად და განუხრელად გატარება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს კოლმეურნეობას და წინ წასწევს კოლმეურნეთა კეთილდღეობას.

ჩაის კრეფა აჭარის მიწსახკომის პირველ საბჭოთა მეურნეობაში. სურათზე: ამ მეურნეობის მეხუთე ბრიგადის წევრები ჩაის კრეფაზე. წინაპლანზე — სტახანოველი მარო ხოროშავა. ფოტო კაძეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

საკოლმეურნეო დემოკრატიის ძალა

სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდება საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების მტკიცედ დაცვას მოითხოვს, მაგრამ ამ საკითხს ბათუმის რაიონის სოფ. ურეხის კირკვის სახ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები წინათ **ყურადღებას არ აქცევდნენ.**

„კოლმეურნის კოლმეურნეობიდან გარიცხვა — გვასწავლის ამხ. ლ. ბერია — არის დასჯის უკიდურესი, განსაკუთრებული ღონისძიება, რომელსაც შეიძლება მივმართოთ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც აღზრდისა და ზეგავლენის **ყველა ღონისძიება უკვე ამოწურულია**“. აქ კი კოლმეურნეთა გარიცხვა და დაჯარიმება ხელაღებით ხდებოდა. საერთო კრებას 100 კაციდან 20-25 კაციც რომ დასწრებოდა, გარიცხვის საკითხს მაინც საბოლოოდ სწყვეტდნენ. ხშირად გარიცხვა ისე ხდებოდა, რომ კრებაზე არც კი ისწრებდნენ „ბრალდებულებს“. თუ გარიცხვა სამუშაოს გაცდენისათვის ხდებოდა, გაგვეობა ბევრ შემთხვევაში არც **იმას კითხულობდა, თუ** რა იყო გაცდენის მიზეზი.

აღმზრდელობითი ღონისძიების გატარების **დროს** კოლმეურნეს ჯერ გაფრთხილება უნდა ეძლეოდეს, შემდეგ უნდა ხდებოდეს მისი გაკიცხვა საერთო კრებაზე, შავ დაფაზე შეტანა, კედლის გაზეთში დაწერა და გარიცხვის წინ დაჯარიმება, შრომადღეების ჩამოკლება. ჩვენს კოლმეურნეობაში კი აღზრდის პირველ ზომად დაჯარიმება იყო მიჩნეული და იმასაც დამახინჯებულად ატარებდნენ. მაგალითად, შარშან კოლმეურნე სანდრო დოქვირი ორი შრომადღით დაჯარიმეს იმისათვის, რომ მან კოლმეურნე სულეიმან ვარშანიძეს სიტყვა შეუბრუნა. მეცლუდ კონცელიძე დაჯარიმეს იმისათვის, რომ მისი ცოლი არ გამოვიდა სამუშაოზე. მურად სურმანიძე დაჯარიმეს სამი შრომადღით სამუშაოზე მისი დის გამოუცვლელობისათვის.

ყველა ეს ნაკლოვანებები გამოვასწორეთ ამხ. ლ. ბერიას მოხსენების შემდეგ („ლონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის“). შუქრი ჩაუშოლია, რომელიც წინათ კოლმეურნეობიდან უკანონოდ იყო გარიცხული, აღვადგინეთ და ახლა იგი ჯგუფის ხელმძღვანელია და საუკეთესოდ მუშაობს. იუსუფ კავიოლაშ წინათ ისიც უკანონოდ იყო გარიცხული და აღვადგინეთ), რომელსაც შარშან მთელი წლის განმავლობაში 178 შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული, წელს 15 აგვისტომდე 182 შრომადღე გამომუშავა. კავიოლის, რომელიც ამჟამად სახლს აშენებს, წელს ჩვენ რამდენიმე დღის შებრუნება მივეცით, თორემ გაცილებით მეტს გამოიმუშავებდა.

კოლმეურნეები ხასან ვარშანიძე, შაბან არაბოღლი, მუსტაფა ვარშანიძე, იბრაგიმ წითელაძე და ზოგიერთი სხვა, წინათ ცუღლუტობდნენ, სამუშაო დღეებს აცდენდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ საყვედური გამოეცხადათ და არტელის წესდების დარღვევისათვის საერთო კრებაზე გაკიცხეთ, გამოსწორდნენ და ახლა კარგად მუშაობენ.

ახლა ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ საერთო კრებას, რომელიც არტელის მართვა-გამგეობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს.

გაიზარდა შრომადღის ანაზღაურებაც. შარშან თვითეული შრომადღეზე ფულად 6 მან. 35 კაპიკი და 1,4 კილოგრამი სიმინდი გვერგო. წელს კი შრომადღეზე გავცემთ 8 მანეთსა და 35 კაპიკს ფულად და, სხვა პროდუქტებს გარდა, 2 კილოგრამ სიმინდს.

შარშან ჩვენს ყოლმეურნეობას მხოლოდ 16 კომლი შეემატა, წელს კი 74 კომლი მივიღეთ.

ხულუს ვარშანიძე

ბათუმის რაიონის ამხ. კიროვის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ვ. სულაბერიძე — ოჩხამურის სტალინის სახ. საბჭოთა მეურნეობის დირექტორი-ორდენოსანი.

ერთი წლის მანძილზე

ამხ. ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში „ლონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის“, უეჭველ რა საბჭოთა მეურნეობების საკითხს, ჩვენი, ოჩხამურის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა მოწინავეთა შორის დაასახელა. ამხ. ლ. ბერია სამართლიანად აღნიშნავდა: „ეს საბჭოთა მეურნეობანიც კიდევ სავსებით არ არიან სანიმუშონი, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კოლექტივები და სათანადო რაიონული ორგანიზაციები ყველაფერს მოიმოქმედებენ, რომ უახლოეს დროში გახადონ ეს საბჭოთა მეურნეობანი ნამდვილ სანიმუშო მეურნეობებად“.

ათასჯერ სწორი იყო ამხ. ლ. ბერია ამ შეფასებაში. ჩვენ მოწინავე ვიყავით, მაგრამ ნაკლოვანებანი მუშაობაში მაინც გვქონდა. ეს ნაკლოვანებები ძირითადად იმაში მდგომარეობდა, რომ ჩაის პლანტაციები არ გვქონდა ისე მოვლილი, როგორც ამას ამხ. ლ. ბერია გვასწავლიდა და გვასწავლის. გაბერილი იყო ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატი, რაც ერთის მხრივ იწვევდა ზედმეტ ხარჯებს, ხოლო მეორეს მხრივ, რაც მთავარია, აფერხებდა ოპერატიულ ხელმძღვანელობას ძირეული რგოლებისადმი. ჯეროვან ყურადღებას ვერ ვაქცევდით მუშათა კოლტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას სწორედ ეს ნაკლოვანებები იყო მიზეზი, რომ მეურნეობა ვერ მუშაობდა რენტაბელურად, მაღალი იყო ჩაის ფოთლის თვითღირებულება.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების დამუშავების დროს მუშათა ბრიგადების მონაწილეობით შევისწავლეთ მეურნეობის ყოველი უბანი, გამოვარკვიეთ, რა აბრკოლებდა საქმის და შევუდექით მის გამოსწორებას.

წინათ ჩაის ყველა პლანტაციას ერთნაირი სახის სასუქს და ერთნაირი დოზით ვაძლევდით, როცა თვითეული ნაკვეთი დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებდა. სასუქის ასეთი წესით შეტანა კი არ იძლეოდა დამაკმაყოფილებელ შედეგს. ამხ. ლ. ბერიას მოხსენების შემდეგ მოვახდინეთ ყველა პლანტაციის აგროქიმიური გამოკვლევა და შევისწავლეთ, რა ღონისძიებების გატარება იყო საჭირო მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. წარსულ წლებში ჩაის პლანტაციებს 15-16 ანტიმეტრის სიღრმეზე ვბარავდით. გამოკვეთამ დაადასტურა, რომ ეს სიღრმე არ იყო საკმარისი. ამიტომ წელს ჩაის პლანტაციები მთლიანად 25—30 სანტიმეტრზე გადავბარეთ.

ადმინისტრატიულ - სამმართველო აპარატის შტატი 193 კაციდან შევამცირეთ 131-მდე. კანცელარიის მუშაკების შემცირების ხარჯზე გავადიდეთ აგრონომებისა და აგროტექნიკოსების რიცხვი და შარშან მარტო უკანასკნელი სამ თვის განმავლობაში გავაკეთეთ 28.000 მანეთის ეკონომია. გეგმის გადაჭარბებით შესრულებით შევქმენით დირექტორის ფონდი 80.000 მანეთის რაოდენობით და მთელი ეს თანხა მოვახმარეთ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ავაგეთ ბავშვთა სამი ბაგა და ორი ბაღი, საავადმყოფო, სამალარიო დისპანსერი, სამშობიარო სახლი და პოლიკლინიკა სხვადასხვა სპეციალური განყოფილებებით.

შარშან თვითეულ მუშაზე საშუალოდ 3.5 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მოდიოდა, ამჟამად კი მოდის 4,5. საბჭოთა მეურნეობის მუშათა ყოველ ოჯახს აქვს ინდივიდუალური ბოსტანი 100 კვ. მეტრის მოცულობით. წელს 53 ოჯახმა შეიძინა მეწველი ძროხა, რისთვისაც მათ მივეცით სესხად 60.000 მანეთი სამი წლის ვადით. 45 ოჯახმა თავიანთ საკარმიდამო ფართობზე პირადი მოხმარებისათვის გააშენა 800 ძირი მანდარინი. ყველა სახის სამუშაოზე გატარებული გვაქვს შრომის ანაზღაურების პროგრესიულ-პრემიალური სანარდო სისტემა. მეურნეობაში მუშის თვიური საშუალო გამომუშავება 200 მანეთს აღემატება, ხოლო დამკვრელები და მოწინავე სტახანოველები თვეში 500—700 მანეთს აკეთებენ.

იზრდება მუშათა მუდმივი კადრები და მათი კვალიფიკაცია. შარშან აგვისტოში ოჩხამურში სულ 590 მუშა მუშაობდა და აქედან სტახანოველი მხოლოდ 138 იყო (საერთო რიცხვის 23,4 პროცენტი). ახლა კი 937 მუშიდან 257 სტახანოველია, 320—დამკვრელი, 189 კი—წარჩინებული, ისე რომ სტახანოველთა და დამკვრელთა რიცხვი ახლა მუშათა საერთო რაოდენობის 61 პროცენტს აღემატება.

ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში ახლა ბევრი ისეთები, რომლებიც მოსავლიანობის ზრდასა და საერთოდ შრომის ნაყოფიერების აწევაში რეკორდებს ამყარებენ. მაგალითად, სტახანოველ მიხეილ გლადკოვის ბრიგადა, რომელსაც სრულმოსავლიანზე გადაყვანით 18 ჰექტარი ჩაი აქვს მომაგრებული, თვითეული ჰექტარიდან, მეურნეობისათვის საშუალოდ დაწესებული 2.497 კილოგრამის ნაცვლად, წელს 3.700 კილოგრამ მწვანე ფოთლის მოსავალს იძლევა. გლადკოვის ბრიგადაში არის ისე სანიმუშოდ მოვლილი ნაკვეთებიც, სადაც 4.000 კილოგრამზე მეტი ფოთოლი იკრიფება ჰექტარიდან.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენებაში დასახული საბრძოლო ამოცანების რეალიზაციას ოჩხამურის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა მთელ კოლექტივს საშუალება მოგვცა წელს უარი გაგვეცხადებინა დოტაციის მიღებაზე. შარშანწინ ჩვენ სახელმწიფოსაგან 2.200.000 მანეთის დახმარება მივიღეთ. შარშან ეს თანხა 932.000 მანეთამდე შევამცირეთ. წელს კი, მიუხედავად იმისა, რომ უდოტაციოდ ვმუშაობთ, ყოველი კილოგრამი მწვანე ფოთლის თვითღირებულება დამზადების სახელმწიფო ფასის—3 მან. 6 კაპიკიდან 2 მანეთსა და 74 კაპიკამდე დავიყვანეთ.

წელს ჩვენ ყველა სახის სამუშაო ეადაზე და აგროსონისძიებათა სრული დაცვით შევასრულეთ. მომდინარე წლის 18 აგვისტოსათვის ჩვენ მოკრეფილი და სახელმწიფოსათვის ჩაბარებული გვქონდა 569.926 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ანუ 127.639 კილოგრამით იმაზე მეტი, ვინემ ამავე რიცხვისათვის შარშან. ჩაის კრეფის გეგმას ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა წელს უსათუოდ შეასრულებს.

მიღწეული წარმატებები ერთი წუთითაც არ იწვევს ჩვენში თვითკმაყოფილებას. კარგად ვგრძნობთ, რომ კლასობრივი მტრის ნაბოლარები, როგორც დღემდე, ისე მომავალშიც შეეცდებიან შეაფერხონ ჩვენი წინსვლა, მაგრამ ამის საშუალებას მათ არ მივცემთ.

ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მიღწევები, განსაკუთრებით უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, თვალსაჩინოა, მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ წინ არის—ოჩხამური უახლოეს დროში უნდა გახდეს ყოველმხრივ მოწინავე და სანიმუშო მეურნეობა. ეს მეტად სერიოზული ამოცანაა, ვინაიდან „სანიმუშო საბჭოთა მეურნეობად—როგორც ამას ამხ. ლ. ბერია გვასწავლის,—მხოლოდ ისეთი საბჭოთა მეურნეობა შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც „ფრიადზე“ აქვს მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, წესიერად აქვს მოწყობილი შრომა; რომლის მეურნეობაც სწარმოებს მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებით; რომელიც მუზობელ კოლმეურნეობებზე უფრო მაღალ მოსავალს იძლევა, აბარებს მაღალი ხარისხის პროდუქციას; რომელიც რენტაბელურია და სახელმწიფოს შემოსავალს აძლევს; რომელიც დახმარებას უწევს მეზობელ კოლმეურნეობებს; რომელსაც შერჩენილი ჰყავს კარგი კადრები და მზრუნველობით ეპყრობა მათ“.

მშრომელთა წერილები

როდემდის გაგრძელდება ასე?

კოსტა კუჭუხიძე აბაშის რაიონში ფოსტის დამტარებლად მუშაობდა და ხშირად ფოსტა სოფ. ნორიოშიაც დაჰქონდა. იქ თვალში მოუვიდა პავლე ეაკიას უმცროსი ქალიშვილია და მალე კაცი მიუგზავნა.

პავლემ გაიფიქრა—ჩავისიძებ, საქიროებიანი ახალგაზრდაა, ოჯახს პატრონი ეყოლებაო. მალე საქმე გაიჩარხა.

პირველ ხანებში ყველაფერი რიგზე მიდიოდა. მაგრამ იმედები არ გამართლდა. გავიდა დრო, პავლე ესაკია და მისი ცოლი გარდაიცვალნენ. კოსტას მადა გაეხსნა და გაიფიქრა—სახლკარი ხომ ჩემზეა დამტკიცებული, რასაც მინდა, იმას ვუზამო—და დაიპირა მისი გაყიდვა ვითომდა სხვაგან „აშენების“ მომიზეზებით. მაგრამ როგორ გაჰყიდდა, როდესაც სახლკარი ერთ დროს პავლეს უფროსმა ქალმა ტერეზიამ ვალებიდან დაიხსნა. ტერეზიას ქმარი რკინიგზელი იყო, იგი ადრე გარდაიცვალა. ტერეზიამ მიღებული პენსიით და სხვადასხვა ქონების გაყიდვით მშობლების კარმიდამო ვალში წაღებას გადაარჩინა. ამიტომ მასაც სახლკარში წილი ჰქონდა. მაგრამ კუჭუხიძემ მაინც თავისი არ დაიშალა და 1933 წელს თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა მოიწადინა.

ტერეზიამ ეს ამბავი სოფელ ნორიოს სახ. სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომ ტერეზიას სჩივარი კანონიერად სცნო და საქმე მის სასარგებლოდ გადასწყვიტა. გაგულისებულმა კოსტამ საქმე აბაშის რაისასამართლოში გადაიტანა. რაისასამართლომ არასწორი, მიკერძოებითი განაჩენი გამოიტანა. ამ დღიდან დაიწყო დაუსრულებელი დავიდარაბა. უდავო საქმეზე.

საქმე ორჯერ უზენაეს სასამართლოში იყო და სამჯერ რაისასამართლოში. ბოლოს უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმმა საქმე ცხაკაიას რაისასამართლოს გადასცა გასარჩევად. 1937 წელს 16 მარტს, როგორც იყო, ცხაკაიას რაისასამართლომ ხელმეორედ გარჩევის დროს სწორი განაჩენი გამოიტანა: მოპასუხე ტერეზია ესაკაიას ერგება მთელი უძრავ-მოძრავი ქონების ნახევარი (სახლი, სასიმინდე, საკარმიდამო ფართობი და სხვა ქონება, ღირებული 600 მან). განაჩენი სისრულეში მოსაყვანად აღმასრულებელ კანტარავას გადაეცა. მაგრამ რა გამოვიდა! კუჭუხიძე საბჭოთა კანონებს როდი ემორჩილება. ვინც ჩემს სახლში ან ეზოში ფეხს დაადგამს, იმ წუთს მოვკლავ, თუნდა ახლავე დამიპირონო,—გაიძახის აღვირახსნილი კოსტა კუჭუხიძე.

მიუხედავად აღმასრულებელ კანტარავას ოფიციალური განცხადებისა რაიპროკურორის სახელზე, რომ კუჭუხიძე სიკვდილით ემუქრება როგორც ტერეზიას, ისე თვით აღმასრულებელს, პროკურორი გ. ლოჩოშვილი არავითარ ზომებს არ იღებს განაჩენის სისრულეში მოსაყვანად და არც სანქციას აძლევს გათავხედებული კუჭუხიძის დასაპატიმრებლად. რატომ? იმიტომ, რომ კუჭუხიძეს, თურმე ნუ იტყვით, გადატანილი აქვს კაკაცია და პასუხს ელის. საინტერესოა რამდენჯერ?

ნუთუ ასეთი ურჩი, გაიძვერა და ბოროტი ადამიანი/ათვის, რომელიც საბჭოთა კანონებს არ ემორჩილება, სდევნის საბჭოთა პატიოსან მოქალაქეებს და სიკვდილით ემუქრება მათ, კიდევ საჭიროა „კასაციობანა“. იქის თუ არა პროკურორმა ლოჩოშვილმა, რომ იგი შეგნებულად უწყობს ხელს კუჭუხიძის ბოროტმოქმედებას და თითონაც მასთან ერთად აგებს პასუხს.

ნ. კევლიშვილი

რედაქციისაგან.

ვითავსებთ რა ალნიშნულ წერილს, მოვითხოვთ საქმეში რესპუბლიკის პროკურორის სასწრაფოდ ჩარევას და ველით პასუხს დამნაშავეთა მიმართ მიღებული ზომების შესახებ.

სასწავლო წელი მოახლოვდა, წიგნები არ არის

ბედნიერი ქვეყნის ბავშვებმა საზაფხულო არდადეგები გავატარეთ კულტურულად, გამოვჯანსაღდით და მოვიკრიფეთ ძალღონე, რათა ახალი ენერგიით შევუდგეთ სწავლას. დავბრუნდით სკოლის კედლებს მონატრებულნი, მოუთმენლად მივაშურეთ სახელგამის მაღაზიებს, მაგრამ გულდაწყვეტილნი გავბრუნდით სახლებში.

მაღაზიებში არ არის წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები. სჩანს სახელგამის მუშაკებს დროზე არ მიუღიათ ზომები, რომ მოსწავლენი უზრუნველეყოთ სახელმძღვანელოებით, რათა ჩვენ შეგვძლებოდა ენერგიულად შევდგომოდით ამხანაგ ლავრენტი ბერიას მითითების პირნათლად შესრულებას — ყველა საგანი გვესწავლა—„ფრიადზე“. უწიგნობა ხომ ამრავლებს სუსტ ნიშნიანებს და ხელს უწყობს ორწლიანობას.

დროა სახელგამის მუშაკებმა შეგვიქმნან ყურადღება და მოგვაწოდონ სტაბილური სახელმძღვანელოები, რვეულები, კალმები, კალმისტარები, ფანქრები და სხვა სასწავლო ნივთები, რომ პირნათლად შევასრულოთ ამხანაგ ბერიასათვის მიცემული პირობა.

შოთა კალანდარაშვილი

რკინიგზის მუშფაკის მოსწავლე

სასწავლო წლისათვის მზად არიან

რედაქციაში მიღებული ცნობებით, სამტრედიის რაიონი მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს. რაიონის სკოლები 20 აგვისტოსათვის უკვე მზად იყვნენ მოწაფეთა მისაღებად. დამთავრებულია ილორის სკოლის მშენებლობა. სკოლას აქვს 12 საკლასო ოთახი და ერთი დიდი დარბაზი. კაპიტალურად არის შეკეთებული 5 სკოლა. სკოლების მიმდინარე რემონტისა და მათი ახალი ინვენტარით უზრუნველყოფის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. შეძენილია 70 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარი და ბიბლიოთეკები. რვა სკოლასთან მოწყობილია სასპორტო მოედნები. რაიონში შემოზიდულია სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, რომლებიც გადაგზავნილია ადგილებზე.

მოხევეთა აღვინიადა

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის აღპინისტთა კლუბმა, თეთნულდის მწვერვალზე ასვლის სვანთა აღპინიადასთან ერთად, მოაწყო 300 მოხევის აღპინიადა უაზბეგის მწვერვალზე.

7 აგვისტოს 27 მოხევისგან შემდგარი პირველი ჯგუფი მწვივდობით ავიდა უაზბეგის მწვერვალზე.

მიღებული ცნობებით, 20 აგვისტოს უაზბეგზე იერიში მიიტანა 88 მოხევისგან შემდგარმა მეორე ჯგუფმა აღპინიზმის ოსტატის ამხ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

უაზბეგზე ამსვლელ მეორე ჯგუფში 25 მოხევე-ქალია.

(საქდესი).

ქვირიკეს (ქობულეთის რაიონი) ლიშონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობა. სურათზე: გრეიფრუტი — „დუნკანის“ ნაყოფი.
ფოტო — დავიდოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ციტრუსების მუნობა საფრთხეშია

ცხაკაია, 21 აგვისტო (საქდესი). ცხაკაიას რაიონში ციტრუსების მუნობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

გეგმით რაიონში უნდა დაიმუნას 900 ათასი ძირი ციტრუსი, კოლმეურნეობებში—580 ათასი ძირი, ლიმმანტრესტის სანერგის ხაზით—320 ათასი.

ციტრუსების მუნობის დამთავრების ვადა 1 სექტემბერია, მაგრამ გეგმა 19 აგვისტოსათვის შესრულებულია მხოლოდ 44,1 პროცენტით.

ციტრუსების მუნობაში ჩამორჩენიან ძველი სენაკის, ახალი სოფლის და ზენფის კოლმეურნეობები. ძველი სენაკის ცხაკაიას ხახ. კოლმეურნეობას მუნობის გეგმა შესრულებული აქვს 25,5 პროცენტით, სტალინის ხახ. კოლმეურნეობას—26,4 პროცენტით, ზენფის კიროვის ხახ. კოლმეურნეობას—50 პროცენტით.

დრო არ ითმენს. საჭიროა მთელი ენერგიის დაძაბვა, რათა ციტრუსების მუნობის გეგმა თავის დროზე შესრულდეს.

ადგილობრივი სოფსაბჭოები და პირველადი პარტორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ ფრიად მნიშვნელოვანი სამეურნეო საქმის შესრულებას.

რედაქციისაგან

ჟურნალ „ბოლშევიკის“ № 15 ნოშრში მოთავსებულია ამხ. ა. ვიშინსკის წერილი, რომლითაც მას შესწორებები შეაქვს უურნალის № 14 ნომრში დაბეჭდილ სტატიაში „ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო კანონი“.

ამ სტატიაში, რომელიც გადმობეჭდილია „კომუნისტის“ 16, 17 და 18 აგვისტოს ნომრებში, ამხ. ვიშინსკის შეაქვს შემდეგი შესწორებანი:

1) 17 აგვისტოს ნომერში სტატიის ჯაგრძელებაში მე-3 გვერდზე მე-5 სვეტის პირველ აბზაცში ნათქვამია, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატები რეგისტრირებულ უნდა იქნან მათი წამომყენებელი ორგანიზაციების მიერ. უნდა დაზუსტდეს, რომ რეგისტრაციას, ცხადია, აწარმოებენ საარჩევნო კომისიები, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარადგენენ კანდიდატებს რეგისტრაციისათვის.

2) იქვე შემდეგ აბზაცში ნათქვამია:

„საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე“; უფრო სწორი იქნება ითქვას: „სათანადო საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენებზე“.

3) სტატიის გაგრძელებაში „კომუნისტის“ 18 აგვისტოს ნომერში მე-3 გვერდზე პირველი სვეტის მე-2 აბზაცში ნათქვამია, რომ საარჩევნო კომისიის წევრებს არ შეუძლიათ იყონ „კენჭისყრისათვის“ გამოყოფილ ოთახში. უნდა თქმულიყო, როგორც ეს პირდაპირ მითითებულია საარჩევნო კანონის მე-77 მუხლში, ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში.

4) იქვე მე-2 სვეტის მე-3 აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

„თვითეული ამომრჩეველი მონაწილეობას იღებს მოკავშირე რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოში წარსაგზავნ ოცდახუთი დეპუტატიდან ერთის არჩევაში. ამ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი ცხოვრობს ავტონომიური რესპუბლიკის, ან ავტონომიური ოლქის, ან ნაციონალური ოკრუგის ტერიტორიაზე, იგი მონაწილეობას იღებს სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა ან ნაციონალური ოკრუგისაგან ეროვნებათა საბჭოში წარსაგზავნი დეპუტატებიდან ერთის არჩევნებშიც. (სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად თვითეული მოკავშირე რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოში არჩეულ 11 დეპუტატი, თვითეული ავტონომიური ოლქისაგან 5 დეპუტატი და თვითეული ნაციონალური ოკრუგისაგან 1 დეპუტატი).

5) ამავე სვეტის შემდეგ აბზაცში ნაცვლად სიტყვებისა „5 დეპუტატის არჩევნებში“ უნდა იკითხებოდეს: „5 დეპუტატიდან ერთის არჩევნებში“; ნაცვლად სიტყვებისა „იგივე მონაწილეობას იღებს 25 დეპუტატის არჩევნებში“ — უნდა იკითხებოდეს: „იგივე მონაწილეობას იღებს 25 დეპუტატიდან ერთის არჩევნებში“.

6) ამავე გვერდზე სტატიის მესამე სვეტის პირველი აბზაცის ბოლოს სამი სტრიქონი ნაცვლად სიტყვებისა „ყარაკალფაქის ასს რესპუბლიკიდან 5 დეპუტატის არჩევის დროს“ — უნდა იკითხებოდეს: „ყარაკალფაქის ასს რესპუბლიკიდან 11 დეპუტატის არჩევის დროს“.

7) ამავე სვეტის მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

„რაც შეეხება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის კენჭისყრას, კანდიდატს შეიძლება კენჭი ეყაროს მხოლოდ ერთ ოლქში, ეს პირდაპირ გამომდინარეობს „არჩევნების დებულების“ მე-62 მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს შეიძლება კენჭი ეყაროს მხოლოდ ერთ ოლქში“.

განმარტება

„კომუნისტის“ 12 აგვისტოს ნომერში (მეოთხე გვერდზე) მოთავსებულ წერილში „ალმაშფოთებელი გულგრილობა“ მოყვანილი ბრალდება ეხება შოფერ იოსებ ივანეს-ძე ბაქრაძეს და არა იოსებ სპირიდონის-ძე ბაქრაძეს.

სწავლა იწყება პირველ სექტემბერს

განათლების სახალხო კომისარიატის განმარტებით საქართველოს ყველა სკოლაში მეცადინეობა დაიწყება პირველ სექტემბერს. განმეორებითი გამოცდები წარმოებს 25 აგვისტოდან.

400 ათასი ბოთლი შამპანური

თბილისის შამპანურის ქარხანამ დაიწყო შამპანური ღვინის პირველი ჩამოსხმა. ნედლეული დამზადებულია „ალიკატეს“, „პინოფრანის“ და სხვ. ჯიშის ყურძნისაგან.

შამპანურის ჩამოსასხმელად თბილისის ქარხანას მოეპოვება სპეციალური მანქანები: ჩამოსასხმელი, თავის დასაცობი, და სხვ. ქარხანა ყოველდღიურად 10—12 ათას ბოთლს ასხამს. სულ ჩამოსხმული იქნება 400 ათასი ბოთლი შამპანური. (საქდესი).

ჭადრაკი

საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნალი ზემერინგში

25 აგვისტოს ზემერინგში გაიხსნება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

ტურნირში მონაწილეობას ღებულობენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კაპაბლანკა (კუბა), ფინი და რვეშევსკი (ამერიკა), ფლორი (ჩეხოსლოვაკია), კერესი (ესტონეთი), პეტროვი (ლატვია), ელისკაზესი (ავსტრია) და როგორნინი (საბჭოთა კავშირი).

ტურნირის მთავარი არბიტრია მსოფლიოს ჩემპიონი, დოქტორი ეივე.

ტურნირიდან დამთავრების შემდეგ ეივე ორ პარტიას ეთამაშება ტურნირში გამარჯვებულს.

განცხადებანი

თბილისის სახ. სპომაპოლოგიური ინსტიტუტი

ამით აცნობებს, რომ 31 აგვისტოს დღის 1 საათზე ინსტიტუტის დირექციაში შესდგება ჰედკერპსონალის სხდომა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

დასწრება სავალდებულოა.

პირველ კურსზე ჩარიცხულები უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტის დირექციაში (პლეხანოვის პროსპ. № 126) საექიმო შემოწმებაზე ა. წ. 29 აგვისტოს დილის 10 საათზე.

31 აგვისტოს დირექციაში იწარმოებს სტუდენტთა (მათ შორის ახლად ჩარიცხულების) რეგისტრაცია. ვინც რეგისტრაციაზე და საექიმო შემოწმებაზე არ გამოცხადდება, გაირიცხება ინსტიტუტიდან.

აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტები აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ 31 აგვისტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ინსტიტუტიდან გაირიცხებიან.

ნორმალური მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

1185 ინსტიტუტის დირექტორი პროფ ა. ურუშაძე.

ექიმია თუ ვაჭარი!

სოფ. წითელი ხევის (ბაღდათის რაიონი) საექიმო პუნქტის გამგე ექ. სათირიშვილი ისეა გათამამებული, რომ ავადმყოფებს საექიმო პუნქტში დიდძალ ფულს ახდევინებს.

ვიქტორ ბაღდავაძის ცოლს ჭრილობის შეხვევისათვის გადაახდევინა 80 მანეთი, ფაცია ჭელიძეს—10 ნემსის გაკეთებისათვის გადაახდევინა 120 მანეთი, ნინო ჯაბელიძეს—10 ნემსის გაკეთებისათვის 100 მან., ვერიჩა ჯაბელიძეს—10 ნემსის გაკეთებისათვის 100 მან., მიშა ლომაშვილის ცოლს—10 ნემსის გაკეთებისათვის—150 მან. და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც მშრომელები მიმართავენ მას საექიმო რიგება-დარიგებისათვის, პასუხს ვერ ელირსებიან, სანამ წინასწარ ფულს არ გადაიხდიან. სათირიშვილი არცხვენს საბჭოთა ექიმის პატიოსან სახელს.

სათირიშვილი უნდა მოშორდეს წითელი ხევის საექიმო პუნქტს და მთელი სისასტიკით უნდა დაისაჯოს.

მეთვალყურე.



ქ. თბილისის სტალინის რაიონალების განყოფილებამ, მოსწავლე ბავშვებისათვის, ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში მოაწყო დიდი საბავშვო გამაჯანსაღებელი მოედანი. სურათზე: ბავშვები მოედანზე ერთობიან კულტურული თამაშით.
ფოტო ჯანგერიანისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ო. თარ ეგაძე

ქორწილი მახათას მთაზე

— მისმინეთ, ხალხნო! გავყიდე შვილი—12 წლის ჯაბო. ავიღე „ლალანი“ ათასი ლირა და მივიზიე იმდენივე ქება, რადგან ჩემი გოგო უბიწოა და დაუმჭკნარი, როგორც ყვავილის მწვანე კოკორი.

— მართალია ჯალალი, გაიხაროს ჯალალმა!

— გამიგონეთ, ხალხნო! ვიყიდე ასული 12 წლისა. გადავიხადე „ლალანი“ ათასი ლირა.

— მართალია ისო, გაიხაროს ისომ! — გაიმეორა შეტაბორებულმა ხალხმა და მილულულა თვალები ზეცას სწყლად აპპყრო.

მოხუცმა ჯალალმა ტანმომცრო გოგონას ნარის პირბადე ჩამოჰგლიჯა და ბავშვის მთრთოლვარე ხელი ისოს ძარღვიან და მაგარ ხელს გაუწოდა.

— ისომ ცოლი ითხოვა!.. იმ მხარეში განთქმულმა „დავჩიმ“ გაფიცხებულ დოლზე გარუჯული ჯობები აათამაშა და „დავის“ ყრუ ხმა მთებში გაიჭრა... ქურთისტანის მყუდრო სოფელში ქორწილი დაიწყო.

ეს იყო ერთი წლით ადრე, სანამ სარაევოში თოფი გავარდებოდა. შემდეგ მსოფლიო ომი დაიწყო. ჭეშ-ქუხილი ისოს და ჯაბოს ოჯახსაც მისწვდა და უბედურება დაატეხა... აყრილი სოფელი ცხენებითა და ქვეითად ჩრდილოეთისაკენ დაიძრა და ალექსანდროპოლს მოადგა. იქ ლტოლვილი ქურთები დამწვდურმა დაშინკებმა თოფის კორაზე აიღეს, ხოლო არაქსისა და არპა-ჩაის მღვრიე ტალღებმა მყუდროების მაძიებელი ხალხის გვამები საუკუნოდ გულში ჩაიხუტა. ბევრმა დალია სული თეთრქუდა არარატის ჩრდილში, ბევრმა კი თრიალეთი გადმოლახა და „დემოკრატიულ“ საქართველოს შეაფარა თავი... ცხონებულმა სეიმმა ლტოლვილები „მიიღო“ და მეეზოვეობა მათ მონოპოლიად გახადა.

○

შვიდი ათასი ქურთი ცხოვრობს ამაყი მთაწმინდის ჯალთებზე და ნებიერ საბურთალოზე. ნავთლუღის ნაფიცხ ველებსა და მახათას გრილ მთაზე. აივსო დოლათით ქურთი ხალხის ოჯახები: ბევრმა მოზრდილი სახლი დაიდგა, ბევრიც ასაშენებლად კირსა და აგურს ეზიდება. ნარბევ-ნაწყობკებმა ქურთის ხალხმა საქართველოს მაღლიან მიწაზე ბინა პპოვა, მამოძრავებელი ძალითა და მიზნით აღიცხო და წელში გაიმართა.

ლენინის აზრების ამოკითხვა სწადდათ ქურთებს და სტალინთან საუბარი. ახალმა სამშობლომ საკუთარი ანბანი, ჩამოუსხა, ჰუეენბერგის მადლიან საქმეს გააცნო და საუკუნეობით მუხჯი, გულჩათხრობილი ხალხი მსოფლიოს დაალაპარაკა. ახლა კი უკვდავჰყოფენ ქურთები თავიანთ პრომეთეულ, მაგრამ ძველისძველ კულტურას, ისტორიული ყოფის საკუთარ მატიანეს შეჰკრავენ და გაწამებული წარსულის წყვდიადით მოცულ ფონზე ბედნიერ აწმყოს ააფიფებენ.

1917 წლამდის თუ თბილისში ქურთული სკოლების ხსენებაც არ იყო, ოციოდე წლის შემდეგ სხვა მრავალთან ერთად ხუთი ქურთული სკოლაც გახსნეს და ხუთივეში ქურთი პედაგოგები დააყენეს. ჰატარა ბავშვებსაც საბავშვო ბაღი მოუწყეს და მომვლელებად ქურთიეე აღმზრდელები მიუჩინეს... ათასამდე ნორჩი ქურთი ლათინური შრიფტის ასოებს გულმოდგინედ დაეწაფა და სტალინის საკავშირო და კეთილშობილური აზრებით თავი დაიპურა.

ბევრი კარგი შვილი გამოზარდა თავისუფალმა ქურთის ხალხმა. ისინი ახლა სკოლებსა და კოლმეურნეობებს ხელმძღვანელობენ, წარმოებაში ბეჯიათად მუშაობენ და ჯარშიაც თავს იჩენენ. ქურთის ბევრმა ქალმაც წყვდიადს თავი დააღწია და თვალი მზის გულს გაუყარა.

ქურთის ქალი ჯაბო მირზო კომკავშირში 1926 წელს შეეიდა, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი გაათავა. შემდეგ პარტიამ ქურთთა საბავშვო ბაღში გაგზავნა სამუშაოდ და ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდა დაავალა.

ფართო და ნათელ ოთახში ცხოვრობს ჯაბო. მისი განუყრელი შეგობრები არიან საწერი მაგიდა და წიგნებით სავსე ჭარადა. კითხვა ჯაბოს ისე უყვარს როგორც მის ბავშვს თამაში.

ანა შამოს გარიჟრაჟზე ცოცხით ნახავთ, სალამოს კი აქანდაზით. გულმოდგინედ უვლის იგი ასფალტდაგებულ პროსპექტს. დანიშნულ დროსაც აღმასკომში მიიჩქარის, რადგან ანა შამო თბილისის საბჭოს დეპუტატი ქალია და სანიტარულ სექციაში ბევრი საქმე აბარია.

არც თუ ცუდი კლუბი აქვთ თბილისელ ქურთებს. ეს ყოფილი ეკლესიაა, სადაც მათ ტრაპეზი სცენად შეუცვლიათ, კლიროსზე კი ორკესტრანტები შესხედ. ყოველდღე თავს იყრიან იქ და კულტურულად ისვენებენ.

ძველი ქართული თეატრის ვეტერან მაკო საფაროვ-აბაშიძისას წარმოდგენის კაბები სხვისგან უნდა ეთხოვა. ქურთებს კი სათხოვნელი არა სჭირთ რა. ბოლშევიკებმა დრამატიული დასი დაუარსეს, რეკვიზიტებიც ჯაფარიძის შეუგროვეს და საკუთარი რეპერტუარიც შეუქნეს.

ხშირად მართავს კლუბი კონცერტებს. ნარინარი ტანსაცმელში გამოწყობილი ქურთი მაყურებელი უხვად აჯილდოვებს სიმღერებისა და ცეკვის ოსტატებს. აბა, ვინ არ იცნობს ბარო რასულოვს? კინო-ფილმ „უკანასკნელ მასკარადში“ თამაშობდა და ბარო და თანამემამულეებმაც „სეპარატიულად“ სახალხო არტისტის სახელი უბოძეს... ალალია, უბოძეს და შეერგოს!

ბარო რასულოვი, შვიდი სტუმარიც რომ ეწვიოს ცალცალკე სუფთა ლოგინს გაუშლის. თუ რადიოს ტიტინი მოგაწყენთ, ბარო ახიერი მზრუნველობით პატეფონის ფირფიტებს გადმოგილაგებთ და ხმელი ხილით თავსაც შეგაქცევინებთ. ოთხი შვილი ჰყავს ბაროს, ოთხივე სკოლაში დაიარება. გამრჯე დედა კი იმით ამაყობს, რომ მოზრდილი ქალაქში ფარჩა-ატრეშუმის 18 კაბა უშრიალებს.

შეძლებული ცხოვრება ქურთთა სოფელშიც შეიჭრა... ასპინძაში 70-კომლიანი კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს და თრიალეთის ქედის ზურმუხტოვან კალთებს ცხვრის ფარებიც შეაფინეს.

აღორძინდა ქურთის ხალხი!.. კმაყოფილი გრძნობით იყრიან ახლა თავს ქურთები უბანსა და სახლში, ქუჩასა და ლხინში. ბედნიერი ცხოვრებით გახალისებულმა ქურთებმა ფრთებშესხმულივით იწყეს ცეკვა, ყამირი და დუდუკი აიელვარეს, სახანდარი ახლებურად „აატირეს“ და გაფიცხებული დოლის ხმაც რიტმულად ააყოლეს.

○

ქურთთა უბანში ხმა გავარდა — ისოს სახლში „დავთი“ აქვსო. სანადიმოდ მორთოლილი მეზობლები ისოს კარისკენ დაიძრნენ და ყიჟინა და სიხარული თან წაიძოლეს. მოხუცმა ისომ სტუმრები ეზოში შეიპატიჟა, მწვანე ყამირზე ხალიჩა დაუგო, ღვინო დაასხა და პური გასტეხა, შემდეგ ხალხის შეაგულში მედიდურად ჩაიდგა და შემოკრებილთ მიმართა:

— მოგისმინეთ, ხალხნო!

წამს ყიჟინი მისწყდა და ხარფუხმა ყური სცქვიტა.

— გავათხოვე ჩემი შვილი ბირგუნალი. ჩავაბარე მისი ბედი სანაქებო შირინსა. „ლალანზე“ კი... სამუდამოდ უარი ვთქვი.

— მართალია ისო, გაიხაროს ისომ!—დაიკვეხა ხალხმა და ნიავმა ხმა მთაწმინდაზე გადასტყორცნა.

— ყური მიგდეთ, ხალხნო! მიყვარს ბირგუნალი, მასაც ვუყვარვარ. არ მომიცია „ლალანი“, არ უთხოვია ისოსაც.

— მართალია შირინი, გაიხაროს შირინმა!—დაიგრიალა საქე ეზომ და მჭუხარე ტაში მთის ნიაღვრად მოსწყდა, მთები განზე გასწია და ცას სარქველი აპკრავა. წრეში მარჯვედ გადმოშვებულმა „დავჩიმ“ „განიო“ დაიძახა, დოლს ქურთი უუენა და ხალზე მოკეცილი სტუმრები ზეზე წამოშალა. ბრგე ვაჟკაცებმა მხიარულად მხარიმხარს მისცეს და ცეცხლოვანი, შეწყობილი და რიტმული ცეკვა „ქოჩარი“ გაიჩაღეს.

მახათას მთაზე ქორწილი დაიწყო.

სწავლა იწყება პირველ სექტემბერს

განათლების სახალხო კომისარიატის განმარტებით საქართველოს ყველა სკოლაში მეცადინეობა დაიწყება პირველ სექტემბერს. განმეორებითი გამოცდები წარმოებს 25 აგვისტოდან.

400 ათასი ბოთლი შამპანური

თბილისის შამპანურის ქარხანამ დაიწყო შამპანური ღვინის პირველი ჩამოსხმა. ნედლეული დამზადებულია „ალიკატეს“, „პინოფრანის“ და სხვ. ჯიშის ყურძნისაგან.

შამპანურის ჩამოსასხმელად თბილისის ქარხანას მოეპოვება სპეციალური მანქანები: ჩამოსასხმელი, თავის დასაცობი, და სხვ. ქარხანა ყოველდღიურად 10—12 ათას ბოთლს ასხამს. სულ ჩამოსხმული იქნება 400 ათასი ბოთლი შამპანური. (საქდესი).

ჭადრაკი

საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნალი ზემერინგში

25 აგვისტოს ზემერინგში გაიხსნება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

ტურნირში მონაწილეობას ღებულობენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კაპაბლანკა (კუბა), ფინი და რვეშევსკი (ამერიკა), ფლორი (ჩეხოსლოვაკია), კერესი (ესტონეთი), პეტროვი (ლატვია), ელისკაზესი (ავსტრია) და როგორნინი (საბჭოთა კავშირი).

ტურნირის მთავარი არბიტრია მსოფლიოს ჩემპიონი, დოქტორი ეივე.

ტურნირიდან დამთავრების შემდეგ ეივე ორ პარტიას ეთამაშება ტურნირში გამარჯვებულს.

განცხადებანი

თბილისის სახ. სპომაპოლოგიური ინსტიტუტი

ამით აცნობებს, რომ 31 აგვისტოს დღის 1 საათზე ინსტიტუტის დირექციაში შესდგება ჰედკერპსონალის სხდომა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

დასწრება სავალდებულოა.

პირველ კურსზე ჩარიცხულები უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტის დირექციაში (პლეხანოვის პროსპ. № 126) საექიმო შემოწმებაზე ა. წ. 29 აგვისტოს დილის 10 საათზე.

31 აგვისტოს დირექციაში იწარმოებს სტუდენტთა (მათ შორის ახლად ჩარიცხულების) რეგისტრაცია. ვინც რეგისტრაციაზე და საექიმო შემოწმებაზე არ გამოცხადდება, გაირიცხება ინსტიტუტიდან.

აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტები აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ 31 აგვისტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ინსტიტუტიდან გაირიცხებიან.

ნორმალური მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

1185 ინსტიტუტის დირექტორი პროფ ა. ურუშაძე.

დღის სანახაობანი თეატრებში	ოქტომბერი 6-40, 8-40, 10-40	ახალი ხმოვანი ფილმი ქართულ ენაზე **დაკარგული სამოთხე** რეჟისორი — დ. რონდელი
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	სცენარი გ. მდივნისა, ოპერატორი ბ. ბურავლიოვი საქართ. სახკინორეჟისის ნაწარმოები.
	26 სექტემბერის სახელობის სახამო. 6-30, სახაფხ. 9	სახამთრო შენობაში ხმოვანი ფილმი **ქედკა** სახაფხ. შენ. ხმოვ. ფილმი **ფიცი**
	დ. კვირველი სახამთრო 6-30. სახაფხ. 8-30, 10-30	სახამთრო და სახაფხ. შენობ. ახალი დიდი ხმოვ. ფილმი **ჭორეულ აღმოსავლეთში**
	კომკავშირელი სახამთრო 6-30 სახაფხულო 8-30	ახალი ხმოვანი მხატვრ. ფილმი **გაზრდა**
	კომინტერნი 8 30, 10-30	ხმოვანი მხატვრ. ფილმი **უფიცოთვო**
	ახალი ამბები 6-30	**არტისტის ზენით, დიკანოზის მახლობლად. კინო-ჟურნალი № 33.**

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი	24 აგვისტო ტალონი № 77 **მონამავრის ია** 25 აგვისტო ტალონი № 78 **მოცეკვავე ქალია** ტატიანა ბახის მონაწილეობით 26 აგვისტო ტალონი № 79 **უკანასკნელად სილვა** ტატიანა ბახის მონაწილეობით	ღია ესტრადა 24 აგვისტო **მუსიკ-ჰოლი** მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ახლად ჩამოსული არტისტების მონაწილეობით წ. ა. ბაღი—საქფილეგთის ფილიალი 24 აგვისტო **ესვრაღის უკანასკნელი დღე** დასაწყისი საღ. 9 ს. და 45 წუთზე	გაბრა—საქფილეგთის საზაფხულო თეატრი საქ. სსრ-ის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ორკესტრის **სიმფონიური კონცერტები** დირიჟორი ო. დიმიტრიადი. სოხუმი—საქფილეგთის ხაზაფხ. თეატრი 24 აგვისტო **ესვრაღის დიდი საღამო** დაწვრილებით აფიშებში.
საქფილეგთის საზაფხულო თეატრი	27 აგვისტო ტალონი № 80 **საბირის**	მოწვ. მოსკოვის სახ თეატრის დამსახ. არტისტები: **ყარა ღიმიტრიევი. კოლი.** არტ.-ბი: ტოკარსკაია, პეტკერი, კოუპენინა, ლენკო, ხოლოდოვი, ტულუზოვი, გირიაკი, ჩერნიაევსკი.		**საღამო**

სსრკ სახელმწიფო საშინაო სესხთა ობლიგაციების მჭონეთა

1937 წლის 1 სექტემბერს

III

სახელმწიფო ხაშინაო სესხების 1936 წელს ჩატარებულ კონვერსიასთან დაკავშირებით, თავდება ვადა წინათ გამოშვებულ სესხთა ობლიგაციების გადაცვლისა მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციებზე.

გადაცვლილ უნდა იქნას შემდეგი

სესხების ობლიგაციები:

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის
სესხისა „ხუთწლედი ოთხ წელში“
ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სესხის
ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის სესხის
მეორე